# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№10 (9842) 2025 წლის 29 იანვარი, ოთხშაბათი.

ფასი 1 ლარი


# ატრა, არატრა, საკითხავი ისევ ეს არის!

## „ჩასაფრებული“ პროფესიონალი ექიმის დიდაქტიკური შეკითხვები

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს – მიხეილ სარჯველაძეს!

ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს – პაატა იმნაძეს!

ჯანმოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს – სილვიუ დომენტეს!

8



9

# მახთუმყული... სიყვარულით მთვრალია




# ჩვენ ბოროტების პროპაგანდის მსხვერპლი ვართ!

## რატომ მოიკოჭლებს „ქართული ოცნება“ ახალგაზრდებთან ურთიერთობაში?!

4

# „ოქროს ხელები“

## რუსთავში მხატვარ ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა

12





5

# რუსეთმა დონალდ ტრამპის მუქარები უკუაგდო

ვიქტორ რცხილაძე

6



# ბნელი ღამე და მასთან დაკავშირებული მოვლენები

რაკი ქრისტიანული იმპერიები აღარ არსებობენ და მათთან ერთად შემაკავებელი ძალაც, საქართველო მთელ მსოფლიოსთან ერთად უფრო სწრაფად მიექანება საბოლოო განკითხვისა და განსჯისკენ.

საქართველოს რესპუბლიკა | გუშინ, დღეს, ხვალ... | №10. ოთხშაბათი, 29 იანვარი, 2025 წელი



# არაბთა გაერთიანებული საამიროები საქართველოში 6-მილიარდიან ინვესტიციას განახორციელებს!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დასრულდა.**

მთავრობის მეთაური აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა აჰმედ ალ საიემ გააცილა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მეთაური არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს, შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის რეზიდენციაში, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყანაში 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდება. უმსხვილესი დეველოპერული კომპანია **Emaar Properties/Eagle Hills**-ი საინვესტიციო პროექტებს თბილისსა და გონიოში განახორციელებს.

ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაურმა შეხვედრები გამართა არაბთა გაერთიანებული საამიროების ტოლერანტობის მინისტრთან შეიხ ნაჰიან ბინ მუბარაქ ალ ნაჰიანთან, ასევე აბუ-დაბის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიასთან და მის ლოჯისტიკურ მიმართულებასთან, აბუ-დაბის პორტების ჯგუფთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული შუა დერეფნის განვითარებაში და თბილისის მშრალი პორტის პროექტს ახორციელებს.

**„ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მათ შორის იმ თვალსაზრისით, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროები არის სამაგალითო ქვეყანა, პროგრესის, ეკონომიკური წინსვლის კუთხით და ამ ქვეყანასთან თანამშრომლობას სერიოზული სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის. გვქონდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე, მათ შორის, პრეზიდენტთან, მთავრობის წევრებთან. ხელი მოვაწერეთ უმნიშვნელოვანეს საინვესტიციო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში 6 მილიარდი დოლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელებას. შეიქმნება მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურული სივრცე, როგორც თბილისში, ასევე გონიოში. „ემაარ ჯგუფი“ არის მსოფლიოში ცნობილი თავისი გამოცდილებით, რესურსებით და ჩვენთვის საამაყოა, რომ ეს შეთანხმება გაფორმდა. ძალიან მალე პროექტის განხორციელება დაიწყება. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, თბილისის და აჭარის განვითარებას, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ეს პროექტი ყველა კუთხით მნიშვნელოვანია“**, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



# საქართველოს პარლამენტი და უნგრეთის ეროვნული ასამბლეა უფრო ქმედითად ითანამშრომლებენ

**საქართველოს პარლამენტსა და უნგრეთის ეროვნულ ასამბლეას შორის თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება გაფორმდა.**

ხელშეკრულება ხაზს უსვამს საერთო ევროპული ღირებულებების საფუძველზე, საქართველოსა და უნგრეთს შორის ისტორიულ მეგობრობას და მიზნად ისახავს ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ორმხრივი ურთიერთობებისა და ურთიერთსასარგებლო გაცვლების ხელშეწყობას.

ხელშეკრულების თანახმად, უნგრეთის ეროვნული ასამბლეა საქართველოს პარლამენტს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს და ყველა მხრივ დაეხმარება ევროკავშირში გაწევრების გზაზე პროგრესის მიღწევაში.

ხელშეკრულებას ხელი მოეწერა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილისა და მისი თანმხლები დელეგაციის ბუდაპეშტში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შალვა პაპუაშვილმა და უნგრეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე ლასლო კოვერმა.

# ევროკავშირის საბჭომ ახალი „სასიამოვნო“ თავსატეხი გაგვიჩინა!

**27 იანვარს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმების ნაწილების შეჩერების თაობაზე, რამაც საქართველოს დიპლომატებისა და ოფიციალური პირებისთვის ევროკავშირში მოგზაურობისას ვიზაზე განაცხადის გაკეთების საჭიროება, შეიძლება, გამოიწვიოს, – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.**

„ძირითადი უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები ევროკავშირში ინტეგრაციის ძირითადი პრინციპებია. იმ ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც ამ ღირებულებებს ფეხქვეშ თელავენ, ევროკავშირში გამარტივებული შესვლით არ უნდა ისარგებლონ“, – განაცხადა პოლონეთის შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრმა ტომაშ სიმონიაკმა.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანაში მოგზაურობისთვის, რომელმაც სავიზო მოთხოვნები აღადგინა, საქართველოს დიპლომატები და ოფიციალური პირები ასევე აღარ ისარგებლებენ ისეთი შეღავათებით, როგორებიცაა, შემცირებული ვადა განაცხადის შესატანად, დაბალი სავიზო მოსაკრებელი და ნაკლები დამატებითი დოკუმენტის წარდგენის შესაძლებლობა.

**„ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს მიერ გასულ წელს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონისა და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღების საპასუხოდ. ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ეს კანონმდებლობა ძირს უთხრის საქართველოს მოსახლეობის ძირითად უფლებებს, მათ შორის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, საჯარო საქმეებში მონაწილეობის უფლებას და ასევე ზრდის სტიგმატიზაციას და დისკრიმინაციას. საქართველოს მიერ განხორციელებული ქმედებები არღვევს იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც დაიდო გამარტივების შეთანხმება და ეწინააღმდეგება ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ინტერესებს. ეს, ასევე, არის რეაგირება საქართველოს ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების, პოლიტიკოსებისა და დამოუკიდებელი მედიის მიმართ ძალადობრივ რეპრესიებზე, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც მთავრობამ 2024 წლის 28 ნოემბერს განაცხადა, რომ 2028 წლამდე აღარ განაგრძობს ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების პროცესს.**

**სავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულების შეჩერება შემდეგ კატეგორიებს შეეხება: საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრებს, რომლებიც მონაწილეობენ ოფიციალურ შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც იმართება ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მიერ; საქართველოს ეროვნული და რეგიონული მთავრობებისა და პარლამენტების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს წევრებს; დიპლომატიური პასპორტების მფლობელებს. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ჩვეულებრივ პასპორტებს, კვლავ ისარგებლებენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირში მოკლევადიანი ვიზიტებისთვის.**

**ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმება 2011 წლის პირველ მარტს შევიდა ძალაში. იგი ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემის გამარტივებას ევროკავშირში ყოფნისთვის არაუმეტეს 90 დღის განმავლობაში ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. შეთანხმებაში არის პუნქტი, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მხარეს, „სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ეს შეთანხმება საზოგადოებრივი წესრიგის, ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით“. 2017 წლის პირველ მარტს საბჭომ და ევროპარლამენტმა მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში მოგზაურობისას უვიზო რეჟიმი დაწესდა. შეთანხმების ნაწილობრივი შეჩერების ძალაში შესვლის შემდეგ – და იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეები უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ – ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, გადაწყვიტონ, ინდივიდუალურად დააწესონ სავიზო მოთხოვნები დიპლომატიური და სამსახურებრივი/ოფიციალური პასპორტების და სპეციალური პასპორტების მფლობელთათვის“**, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.



## გიორგი ახვლედიანი:

# საქართველო გახდა სიმბოლო, როგორ შეიძლება უკრაინის მაიდნის ფორმულა ვეღარ გამოიყენო და გადატრიალება არ გამოგივიდეს!



***თბილისის პარალელურად, სლოვაკეთში და სერბეთშიც მასობრივი გამოსვლებია. დემონსტრანტების ლოზუნგი ქართველი „შიბევროპელების“ ლოზუნგების იდენტურია, ისინიც „ევროპაში მიდიან“ და პრორუსულ ძალებს ქვეყნის მართვის საშუალებას არ მისცემენ.***

***სლოვაკეთის პრემიერი რობერტო ფიცო ამბობს, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა საქართველოს მოვლენებში, ასევე უკრაინის „მაიდანში“ და ამზადებს გადატრიალებას სლოვაკეთში.***

ფიცოს განცხადების პარალელურად, 25 იანვარს, სლოვაკეთის თითქმის 30 ქალაქში ხალხი გამოვიდა ქუჩებში ლოზუნგით „სლოვაკეთი ევროპაა“. ფიცოს მთავრობის წინააღმდეგ აქციების ორგანიზატორი ინიციატივა – „მშვიდობა უკრაინაში“ და ოპოზიციური პარტიები იყვნენ. აქციის ორგანიზატორთა შეფასებით, მთლიანობაში, დემონსტრაციაში მონაწილეობა 100 000-მდე ადამიანმა მიიღო.

სლოვაკეთის მსგავსად მეშვიდე დღეა გამოსვლები არ წყდება სერბეთში. ქვეყნის დედაქალაქის ცენტრი პარალიზებულია. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ და სიების გადამოწმებას მოითხოვენ. დემონსტრაციებს პოლიციასთან დაპირისპირებაც მოჰყვა. ალექსანდრ ვუჩიჩის პარტია, რომელსაც ოპოზიცია პრორუსულ ძალად მოიაზრებს, თავს არჩევნებში გამარჯვებულად აცხადებს და მათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გარედან მართულს უწოდებს.

გამორიცხული არ არის, გამოსვლები უნგრეთსა და ბელარუსშიც დაიწყოს. ბელარუსში 26 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, სადაც პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ამბობს, რომ მას არ ადარდებს აღიარებს თუ არა ამ არჩევნებს ევროკავშირი. ეგზიტპოლის შედეგების თანახმად, ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებში ალექსანდრ ლუკაშენკოს ხმა მისცა ამომრჩეველთა 87,6%-მა.

გუშინ ბელარუსის ცესკომ დაადასტურა ლუკაშენკოს დამაჯერებელი გამარჯვება.

რაც შეეხება უნგრეთს, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ტრამპის ინაუგურაციის მერე განაცხადა: „ჩვენ დავბრუნდით ევროპის მთავარ ქუჩაზე, ჩვენ ახალი მეინსტრიმი ვართ“. სწორედ ტრამპთან მეგობრობის გამო არ არის გამორიცხული, რომ ე.წ. დიფ სთეითმა პროცესების არევა უნგრეთშიც სცადოს.

**სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებებს ეთანხმება საქართველოს ხელისუფლება. მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ ამ სამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების უკან ერთი ძალა დგას და მას „დიფ სთეითი“ ჰქვია. ისინი ცდილობენ ტრამპის ადმინისტრაციის მოძლიერების პარალელურად, სიტუაცია ევროპაში არიონ.**

**„ერთი ხელიდან არის კოორდინირებული ასეთი ტიპის პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში. ხშირად ვციტირებდი ხოლმე სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის რობერტ ფიცოს კონკრეტულ ვიდეომიმართვას, სადაც ის აღწერს სლოვაკეთში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის ლიბერალური ფაშიზმის განვრცობას სლოვაკეთის ტერიტორიაზე. რასაც ის აღწერს თავის 10-წუთიან მიმართვაში, არის აბსოლუტურად იდენტური იმისა, რაც საქართველოში ხდება, შესაბამისად, ასეთი პირდაპირი კოორდინაცია არათუ ვერ გამოირიცხება, არამედ არის აბსოლუტურად ლოგიკური. ეჭვს ვერ შევიტანდი სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებაში“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მედია პოლიტიკის ექსპერტი **გიორგი ახვლედიანი** for.ge-სთან ამბობს, რომ სლოვაკეთში, სერბეთში და საქართველოში ერთიდაიგივე ძალები მოქმედებენ. თუმცა ახვლედიანი ამბობს, რომ უკრაინის მაიდანიზაციის სცენარისტებს მაიდნის ფორმულას თბილისში გამოყენება არ გამოუვიდათ.

**„უკრაინის მაიდანი ყველაზე კარგი მაგალითია იმის, თუ როგორ შეიძლება უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების რევოლუციის გზით გადაგდება მოხდეს. უკრაინული მაიდანი სწორედ ამ ტექნოლოგიის სიმბოლო გახდა. ხოლო საქართველო გახდა იმის სიმბოლო, როგორ შეიძლება უკრაინის მაიდნის ფორმულა ვეღარ გამოიყენო და გადატრიალება არ გამოგივიდეს. თბილისში ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენები სწორედ ამის ნათელი მაგალითი და სიმბოლოა. ამიტომ მალე გვექნება ორი თვალსაჩინო მაგალითი – კიევური მაიდანი და თბილისური ანტიმაიდანი. ფიცოსთვის და სლოვაკეთისთვის ეს ორი გამოცდილება მნიშვნელოვანია. ფიცო ხედავს, რომ მის წინააღმდეგ სწორედ უკრაინული მაიდანი იქოქება. ბუნებრივია, მისთვის მნიშვნელოვანია ის გამოცდილება, რომელიც საქართველოში დაგროვდა, როგორ უნდა ებრძოლო და გადააგორო ეს მაიდნის პროექტი. ამიტომ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მსგავს გამოცდილებას“,** – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, რაც შეეხება იმ ძალებს, რომელიც საქართველოში მოქმედებდნენ, ეს პირდაპირ ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ იყო მართული.

**„ძალიან ბევრია „დიფ სთეითის“ წარმომადგენელი ორგანიზაცია, მაგალითად მაკკეინის ინსტიტუტი, რომელიც ღიად საუბრობდა იმაზე, რაზეც ვერ საუბრობს ხელისუფლება. ისინი ჩვენს პირდაპირ ომში ჩართვას ითხოვდნენ. აქედან გამომდინარე, რადგან საქართველო ომში არ ჩაერთო, დაიწყეს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის მცდელობა. რაც შეეხება სლოვაკეთს, აქაც, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარული და კულუარული ხელისუფლების, „დიფ სთეითის“ ხელი ჩანს. ამაზე ღიად ტრამპიც, მისი ოჯახი და გარემოცვაც საუბრობს. ეს ხომ არ არის ჩვენი მოგონილი ამბავი. თუმცა ასევე ძირითადი წინააღმდეგობა სლოვაკეთის, სერბეთის შემთხვევაში ბრიუსელიდან მოდის. როგორც სლოვაკეთი, ასევე უნგრეთი, სერბეთი, ლიბერალური ბრიუსელისთვის ძალიან დიდი საფრთხის მატარებელია.**

**უნგრეთი და სლოვაკეთი განსაკუთრებით, ეს არის ულტრამემარჯვენე ხელისულფლებების მქონე სახელმწიფოები, რომლებიც ბრიუსელის ფსევდოლიბერალური პოლიტიკის წინააღდეგები არიან. გარდა ამისა, ისინი ეწინააღმდეგებიან არა მხოლოდ იდეოლოგიურ პოლიტიკას, არამედ ეს ორი ქვეყანა ევროპაში მიგრაციას ებრძვის. ამას გარდა, ამ ქვეყნებში წინააღმდეგობა ხვდებათ იმ შიზოფრენიაზე, რასაც უკრაინაში დაუსრულებელი ომი ჰქვია“,** – ამბობს ახვლედიანი.

ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობისთვის უნგრეთის, სლოვაკეთის და ალბათ, სერბეთის ახალი ხელისუფლებაც, ბრიუსელის პოლიტიკის ხელის შემშლელები არიან.

„მე მაინც ვფიქრობ, რომ ბელორუსში რაღაცა ძალები შეეცდებიან, არჩევნების შემდეგ იქაც პროცესები არიონ, მაგრამ იმის მეათედიც ვერ იქნება, როგორიც 5 წლის წინ იყო. მაშინ მთელი ევროპა ბელარუსისკენ იყო გადართული, რათა ხელისუფლება შეეცვალათ. **რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ვფიქრობ, რომ მთელი რესურსი, რომელიც უკრაინის მაიდნის სახით საქართველოში განხორციელებისთვის არსებობდა, მისი 99% ამოიწურა. ორგანიზატორებმა დაინახეს, რომ ეს ყველაფერი შეუძლებელია. ჩვენს ქვეყანაში ამის განხორციელება რომ ვერ მოხდება, მიხვდნენ, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ხელისუფლების კურსს მხარს უჭერს და პოლიტიკური აქტივის სცენარის გამეორება ვერ გამოდის. მით უმეტეს საქართველოში ხელისუფლება ძალიან მყარია და ყველა მათ გეგმას ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს“,** – ამბობს ახვლედიანი.

**„დიფ სთეითი“ სლოვაკეთის, უნგრეთის და სერბეთის მოხრჩობასაც აპირებს!**




საპროტესტო აქციები



სერბეთსა და სლოვენიაში

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

# უხუცესთა საბჭოს გული და გონება ახალგაზრდული აქვს

**სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს მორიგი, 27 იანვრის შეხვედრა იმით იყო გამორჩეული, რომ მას საბჭოს დამფუძნებელთან და ხელმძღვანელთან. ბატონ ფრიდონ ინჯიასთან ერთად წარმართავდა აღიარებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პრინციპულობითა და ზოგადქართული ეროვნულობით გამორჩეული მამულიშვილი ნოდარ ჭითანავა.**

– უხუცესთა საბჭო სერიოზული არასამთავრობო ინსტიტუციაა, რომელსაც დიდი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია. საბჭო მთავრობის პირუთვნელი მრჩეველი უნდა იყოს და მრავალგზის აწონილი სიტყვით საქმიან წინადადებებს სთავაზობდეს მას. ჩვენდა სამწუხაროდ, რადიკალური ოპოზიციის არაადეკვატური, მტრული მოქმედების გამო, ბევრმა არ იცის, რა მძიმე სენი გვჭირს დღეს. მთავარზე მთავარია მშვიდობის შენარჩუნება და ეროვნული ფასეულობების დაცვა. ჩვენი პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, კულტურა, სპორტი უნდა ემსახურებოდეს სწორედ ერთ მიზანს – ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვას... ჩვენ, რადგან სამეგრელოს უხუცესთა საბჭო ვართ, ბუნებრივია, ყოველდღიურად უნდა ვფიქრობდეთ აფხაზეთის და აფხაზების შემორიგებაზე. დადგა დრო, რომ თითოეული გონიერი ქართველი მხარში დაუდგეს დღევანდელ მთავრობას, რომელიც 2025 წელს რეალური ნაბიჯების გადადგმას აანონსებს ამ საშვილიშვილო პრობლემის გადასაწყვეტად, – თქვა შეხვედრაზე ნოდარ ჭითანავამ და სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს სამოქმედო პრიორიტეტები, როგორც იტყვიან, ხელისგულზე დაგვიდო.

სამეგრელოს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მხარის ეკონომიკის, სოციალური ყოფის, დევნილთა მდგომარეობის, განსაკუთრებით დემოგრაფიის(!), სოფლების დაცლის პრობლემებზე საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვეს უხუცესთა საბჭოს წევრებმა გურამ გუნავამ, ვალერი კვარაცხელიამ, ზურაბ ჩხაიძემ, მამუკა ნაჭყებიამ, ვახტანგ ყოლბაიამ, პეტრე ბერაიამ, სპარტაკ ქობულიამ და სხვ.



სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს 27 იანვრის სხდომის კადრი, სხედან – გურამ გუნავა, ფრიდონ ინჯია, ნოდარ ჭითანავა.

ბატონმა ფრიდონ ინჯიამ საბჭოს წევრებს მომავალი საქმიანი შეხვედრის (სავარაუდოდ, ის სენაკში გაიმართება) თემატიკა გააცნო და სიამოვნებით გადასცა სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს სამახსოვრო მედალი ღვაწლმოსილ პიროვნებებს – ნოდარ ჭითანავასა და გურამ გუნავას.

ბოლოს ვეტერანთა საბჭოს კოლორიტმა ოთარ ჭითანავამ თავისი ჩვეული იუმორით მაინც „გაგვწკეპლა“: რას გავს ეს, მე აქ ვერც ერთი უხუცესი ვერ ვნახე, რატომ მატყუებთ?!

სამშობლოს გამთლიანებას და აღორძინებას გისურვებთ, ვეტერანებო!

**ხვიჩა შერვაშიძე**



# ჩვენ ბოროტების პროპაგანდის მსხვერპლი ვართ!

## რატომ მოიკოჭლებს „ქართული ოცნება" ახალგაზრდებთან ურთიერთობაში?!

„ნაცები" კარგად ახერხებენ, რომ სტუდენტები მოატყუონ და ინფორმაციულ ვაკუუმში მოაქციონ, „ქართული ოცნება" კი ვერ ახერხებს, რომ მათ სიმართლე დაანახოს!" – ამის შესახებ პარტია „ხალხის ძალის" წევრი, თსუ-ის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი პავლე (პაპუნა) კახიძე საუბრობს. მისი თქმით, რამდენიმე თვეში, როდესაც დასავლეთთან ურთიერთობები დალაგდება, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესიც ელვისებური სისწრაფით გაგრძელდება.

**– პაპუნა, მსოფლიო ტრამპის პოლიტიკის შედეგების მოლოდინშია. როგორ ფიქრობ, რა შეიძლება შეცვალოს მისმა არჩევამ მსოფლიო პოლიტიკაში და რა გავლენა ექნება ამას ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის ურთიერთობაზე?**

– ფაქტი ის არის, რომ მსოფლიოს სჭირდებოდა ლიდერი, რომელიც მას არ ჰყავდა. ყველას მოგვეხსენება, რომ ამერიკა არის მსოფლიოში ნომერ პირველი სახელმწიფო და თუ მას ძლიერი მმართველი არ ჰყავს, ეს ყველა დანარჩენ ქვეყანაზე აისახება. ევროპა, ფაქტობრივად, ლიდერის გარეშეა დარჩენილი. წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ბედი ეწევა ოლაფ შოლცს და რა შედეგებით დასრულდება არჩევნები თებერვალში გერმანიაში. ევროპის ლიდერად ვერც მაკრონმა ივარგა; ინგლისი საერთოდ ყველასგან ცალკეა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ბაიდენი და მისი ადმინისტრაცია წურბელებივით ჰყავდა მისეული და მისი ტრაგედიით კონკრეტულ სარგებელს იღებდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ბაიდენის შვილი იარაღის მწარმოებელი ქარხნის მფლობელია და ომის დამთავრება არ შედიოდა აშშ-ის წინა ადმინისტრაციის ინტერესებში.

ტრამპის ერთ ერთი მთავარი დაპირება კი იყო, რომ მისი მმართველობის პერიოდში ომი არ იქნება და ის მალე დაასრულებს რუსეთ-უკრაინის ომს. ჩვენ უკვე ვნახეთ მისი განცხადებები, რომ ტრამპი მზად არის, შეხვდეს პუტინს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ის ასევე მზადაა, შეხვდეს სი ძინპინს ჩინეთში და დაალაგოს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა.

რომ ავიღოთ „ქართული ოცნების" სამი ძირითადი დაპირება და შევადაროთ ის აშშ-ის უკვე მოქმედი ადმინისტრაციის განაცხადს, რითაც ის მოვიდა ხელისუფლებაში, მათ შორის განსხვავებას ვერ დავინახავთ! პირველი, ეს იყო თავს მოხვეული სექსუალური უმცირესობების თემა – ტრამპმა განაცხადა, რომ „არსებობს მხოლოდ ორი სქესი, ქალი და კაცი" და აკრძალა ლგბტ პროპაგანდა; მეორე, რის გამოც რადიკალები დაგვცინოდნენ, ის არის, რომ ტრამპი, ისევე როგორც ჩვენ, ბრძოლას უცხადებს „გლობალური ომის პარტიას", ოღონდ ამერიკის პრეზიდენტი მას სხვა ტერმინით, „დიფ სთეითით" მოიხსენიებს. მან აირჩია მშვიდობა, ოჯახური ფასეულობები და ტრადიციები, ისევე, როგორც ჩვენ. ასევე, ტრამპმა გადაწყვიტა, გადახედოს უცხო ქვეყნების დაფინანსების საკითხს და საგრანტო პროგრამების შეჩერებაზე ბრძანება გამოსცა. ამერიკის პრეზიდენტი დღეს ამ „შეთქმულების თეორიებს" ებრძვის და ამბობს, რომ ამერიკელი ხალხის ფული არ უნდა იხარჯებოდეს, დავუშვათ, რომელიმე უცხო ქვეყანაში რელიგიის შესავიწროებლად, მთავრობის გადატრიალების მოსაწყობად და ა.შ. – ესეც ჩვენი გამჭვირვალობის კანონისა და ამერიკული „ფარას" თანხვედრა. ტრამპისა და ჩვენი შეხედულებები აქაც ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაც შეუძლებელია, საქართველო-ამერიკის ურთიერთობები არ გადაიტვირთოს და სტაბილურ ფორმას არ დაუბრუნდეს.

**– აშშ-სა და ევროკავშირს შორის რაღაც ტიპის უთანხმოება არსებობს. თუ მასკის ტვიტებსა და განცხადებებს დავიმოწმებთ, დასავლეთ ევროპაში დემოკრატიული უკუსვლაა და სიტყვის თავისუფლება იზღუდება, რაზეც დასავლეთს საპასუხო რეაქცია აქვს. მასკი კი, შეუძლებელია, დონალდ ტრამპთან შეუთანხმებლად მოქმედებდეს. ფაქტობრივად, მსოფლიო ახალი გლობალური დღის წესრიგის წინაშე დადგა. ამ არეულობაში სად არის საქართველოს ადგილი?**

– როცა ვსაუბრობდით, რომ ევროპა ჩვენზე ზეწოლას ახდენს და გვაიძულებს, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ რაღაც ვაკეთოთ, იცინოდა ჩვენი ოპოზიცია. დღეს ამერიკის პრეზიდენტი გამოდის და იმავეს ამბობს, რომ ევროკავშირი ცდილობს, მსოფლიოს გიგანტ სახელმწიფოს, თავს თავისი ინტერესები მოახვიოს. ვხედავთ სოციალურ ქსელებში მათ დაპირისპირებებს. მასკმა პოსტი დაწერა და თქვა, რომ არჩევნებში ჩარევის უფლება არ უნდა მისცენ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს და როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ევროპარლამენტარები და მათი ელჩები არ უნდა ჩაერიონ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში, რა არის აქ მიუღებელი? თუ არ შეიძლება, რომ, მაგალითად, მასკი გერმანიის არჩევნებში ჩაერიოს, რატომ უნდა ჩაერიოს გერმანიის ბუნდესტაგის რომელიღაც კომიტეტის წევრი ჩვენს არჩევნებში?!

დიახ, მსოფლიო ახალ დღის წესრიგზე გადადის. ჩვენ დავინახეთ, რომ მემარჯვენე ძალა მოვიდა აშშ-ში, თან – ისეთი რაოდენობით, როგორც ჯერ არასდროს ყოფილა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ამერიკაში ტრამპის დანიშნულია, სენატში და კონგრესშიც მემარჯვენეებს აქვთ უმრავლესობა; თეთრ სახლში „რესპუბლიკელები" ჭარბობენ და მთელი ძალაუფლება მათ ხელშია, რომელიც ამერიკაში მემარჯვენე ძალას წარმოადგენს. ასევე მემარჯვენე ძალაა ჯორჯა მელონი იტალიაში, რომელიც მოვიდა ზუსტად იმ ფასეულობებით, რასაც ჩვენ ვაღიარებთ. გასაგებია, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მელონი, გარკვეული პერიოდი, ბაიდენის ადმინისტრაციას დაუახლოვდა, თუმცა, დღეს ის ტრამპის აქტიური მხარდამჭერია და მის შეხედულებებს იზიარებს. მალე ევროპაში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება ფიცო და ვიქტორ ორბანი, რომლებიც მემარჯვენე ძალებს წარმოადგენენ. დიდი ალბათობით, ავსტრიის ხელისუფლებაშიც მემარჯვენე ძალები მოვლენ, რადგან უმრავლესობა მათ აქვთ და მათ გარეშე ხელისუფლება ვერ ჩამოყალიბდება. ასევე, ძალიან გაძლიერდა მემარჯვენე ძალა გერმანიაში და შეიძლება იმდენი ხმა ვერ დააგროვოს, რომ კანცლერი დანიშნოს, მაგრამ ბუნდესტაგში, სავარაუდოდ, ყოველი მესამე მემარჯვენე ძალის წარმომადგენელი იქნება. ეს დიდ გავლენას მოახდენს ეროვნულ შიდა პოლიტიკაზე და, თავისთავად, გერმანიის საგარეო პოლიტიკაზეც აისახება. ყველას მოგვეხსენება, მაკრონს როგორი ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს საფრანგეთში მარინ ლე პენის სახით, რომელიც ასევე მემარჯვენეა და ვარაუდობენ, რომ სწორედ ის შეიძლება გახდეს საფრანგეთის შემდეგი პრეზიდენტი.

**ასე რომ, ის თავსმოხვეული აბსურდი, რომ, რადგან პატარა ქვეყანა ვართ, რადგან ბირთვული იარაღი არ გვაქვს და ფინანსები არ გვაქვს, რასაც გვეტყვიან, ის უნდა მივიღოთ – მალე დასრულდება. ჩემი ვარაუდით, რამდენიმე თვეში, როდესაც დასავლეთთან ურთიერთობები დალაგდება, ისევ ელვისებური სისწრაფით გაგრძელდება ჩვენი ევროკავშირთან დაახლოების პროცესი.**

როგორ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ამერიკა ჩვენთან სტრატეგიულ პარტნიორობას შეწყვეტს და სომხეთთან ითანამშრომლებს, როდესაც სომხეთი ოდეკაზეს მისიებში მონაწილე დსთ-ს წევრი სახელმწიფოა. მეტიც, რომელიც ოდეკაზეს მისიებს ხელმძღვანელობდა! როგორ შეიძლება, რომ ფაშინიანის ხელისუფლება, რომლის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი რუსეთია და, უფრო მეტად ირანი, ამერიკისთვის იყოს სტრატეგიული პარტნიორი და საქართველო არა, რომლისთვისაც მთავარი სტრატეგიული პარტნიორი არის ნატოს წევრი თურქეთი და ჩინეთი, ვისთან ურთიეთობასაც ალაგებს ამერიკა. საქართველოს კონსტიტუციაში უწერია თავისი ევროპული კურსი, ის არც დსთ-ს წევრია და არც რუსეთთან აქვს არანაირი ურთიერთობა, გარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა – ასეთ პირობებში ორმაგი სტანდარტი კარგად ჩანს და, ალბათ, ეს სიგიჟეც მალე დასრულდება ტრამპის მმართველობის პირობებში.

**– პაპუნა, უკვე ორი თვეა, ოპოზიციის საპროტესტო აქციები გრძელდება. თუმცა, როგორც პრემიერ-მინისტრმაც აღნიშნა, მათი ლიდერები მხარდამჭერების გვერდით აღარ ჩანან. მაშინ რა სარგებელი აქვს აქციებს და რა მიზნით იყენებენ ამ რესურსს რადიკალები?**

– ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს, რომ ნიკა გვარამია, ნიკა მელია, გირჩი-ჯაფარა და ლიაკა, რუსული რუბლებით, ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მაგალითად, ნიკა გვარამია არათუ აქციებზე ვერ გამოდის, არამედ, მან წინასაარჩევნო კამპანიაც ისე ჩაატარა, რომ კახეთში ვერ ჩავიდა. პოლიტიკოსისგან, რომელიც საკუთარ მომხრეებთანაც კი, 4-კაციანი დაცვის გარეშე ვერ გამოდის, რას უნდა ელოდოს ან მისი მომხრე, ან სხვა! ადამიანი რომ იტყვის, „ღვინოში ჩაგიფსიო", მას ქართველი კაცი არ გაიკარებს გვერდით და კახეთშიც ვეღარ ჩავა...

ძველები აღარ ჩანან, თუმცა გამოჩნდა ახალი ფსევდოლიდერი, დოი, რომელიც რამდენიმე დღე დაუმორჩილებლობის აქციით „გვემუქრებოდა" და ძლივს ჩამოყალიბდა, როდის აპირებდა ჩვენზე „თავდასხმას" 20-ში, 22-ში თუ 23-ში. მისი თეატრი სახელმწიფოსგან დღემდე 800 ათასი ლარით ფინანსდება და თუკი ჩვენი მთავრობა „რუსულია", რისთვის სჭირდებათ მათ რუსული ფული?! გაფიცული თეატრი დღემდე იღებს ხელფასს, რაც არასწორად მიმაჩნია. ჩემი აზრით, კულტურის სამინისტრომ ეს ადამიანები ან უნდა გაათავისუფლოს, ან უნდა დაავალდებულოს, იმუშავონ რადგან მათი უპასუხისმგებლო საქციელი არის ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია!

**ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება" ახალგაზრდებთან ურთიერთობაში მოიკოჭლებს. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ნაცები კარგად ახერხებენ, რომ სტუდენტები მოატყუონ და ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფონ. „ქართული ოცნება" კი ვერ ახერხებს, რომ მათ სიმართლე დაანახოს!**



რადიკალები ცდილობენ, როგორმე ხალხი გამოიყვანონ, რომ უცხოური ძალების მიერ გადახდილი ფული ამ საქმეში გახარჯონ. თუმცა როცა ამ ფულის რესურსი ამოიწურება, ჩვენი ქუჩის ოპოზიციაც „ტრადიციულად" დაიშლება და ერთმანეთის მიყოლებით შევა პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, ერთი სული აქვთ, ისე უნდათ პარლამენტში შესვლა, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ ამის „ბრძანება". ვინმეს სჯერა, რომ ლომჯარია, ხოშტარია, სანიკიძე... პარლამენტში არ შევლენ და ასე უბრალოდ გააუქმებენ საკუთარ მანდატს?! უამრავი ბიზნესმენია მათ სიაში და როგორ წარმოგიდგენიათ, მანდატზე უარს იტყვიან, რაშიც ფული აქვთ გადახდილი?! ეს ხომ აბ-

სურდია. როგორც კი პარლამენტი განაახლებს მუშაობას, ეს აქციებიც მორჩება და ყველანი შეცუნცულდებიან პარლამენტში. ეს სცენარი ჩვენ უკვე არაერთხელ გვაქვს ნანახი.

**— გაიგებდი, რომ ნანუკა ჟორჟოლიანი უკვე მხოლოდ ლოზიანებს კი აღარ დაუცხობს იმ სტუდენტებს, ვინც გარეთ გამოვა და რაღაცას გააპროტესტებს, სწავლის საფასურს გადაუხდის და უფასო საცხოვრებლითაც დაეხმარება. მსგავსი მანიპულირება ახალგაზრდობით, ალბათ, მხოლოდ „ნანუკებს“ შეუძლიათ...**

— ალბათ, აკვირდებოდით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნებზე მიმდინარე მოვლენებს. პირველ რიგში, თქვენი დახმარებით, მინდა, ბატონ ტიტე აროშიძეს მივულოცო რექტორის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევა და ვუსურვო წარმატებები!

უამრავი მეგობარი მყავს ბათუმში, მათ შორის არიან სტუდენტები უნივერსიტეტის თვითმმართველობაში და ვიცი, რაც ხდებოდა რეალურად. ბატონი ტიტე აირჩია კოლეგიამ რექტორად და ამას მოჰყვა პროტესტი ფსევდოსტუდენტებისგან, რომლებიც გარდა იმისა, რომ სტუდენტები არიან, არიან ასევე პარტიული აქტივისტები — „ლელოს“, გახარიას, „დროას“ თუ „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრები. ეს მათი სოციალური გვერდებიდანაც ჩანს, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ნანუკა ჟორჟოლიანმა, როცა „მთავარმა არხმა“ სტუდენტებს შორის დაპირისპირება გააშუქა. სულ 10-მდე სტუდენტი იქნებოდა, ვისაც ვითომ არ მოსწონს ახალი რექტორი და ამის გამო დანარჩენებს უპირისპირდებიან. ნანუკამ კი გადაცემის გასვლიდან მეორე დღესვე დადო დაფინანსებული სტუდენტების სია სოციალურ ქსელში და ჰოი, საოცრებავ, — ათივე „პროტესტანტი“ სტუდენტი იყო ამ სიაში!

**— თუმცა, შენ გვერდით, ალბათ, არიან ისეთი ახალგაზრდებიც, ვისაც ნამდვილად სჯერა, რომ ხელისუფლება „რუსეთისკენ მიგვაქანებს“ და ევროპულ მომავალს გვართმევს...**

— დიახ, ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ ახალგაზრდებთან ურთიერთობაში „მოიკოჭლებს“. არ ვიცი როგორ, მაგრამ „ნაცები“ კარგად ახერხებენ, რომ სტუდენტები მოატყუონ და ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფონ. „ქართული ოცნება“ კი ვერ ახერხებს, რომ მათ სიმართლე დაანახოს! რა თქმა უნდა, ჩემ ირგვლივ არიან ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტები, რომლებსაც მართლა სჯერათ ამ ყველაფრის, მაგრამ შემდეგ, როცა დავსხდებით და დავილაპარაკებთ ხოლმე მათთან, ვისთანაც შეიძლება, რომ სიღრმისეულ საუბარში შეხვიდე, ესაუბრო, გააანალიზო... ხვდებიან, რომ ნანუკა ჟორჟოლიანი და ლევან ბერძენიშვილი ვერ ყოფილან მაინცდამაინც სიმართლის ეტალონები! რომ ნახავენ, რა დაწერა მასკმა, რა ხდება მსოფლიო პოლიტიკაში, გაიაზრებენ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მსოფლიო პოლიტიკას საქართველოზე, შემდეგ უკვე ეცვლებათ შთაბეჭდილება.

**მყავს ასეთი მეგობარი, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ გამჭვირვალობის კანონი იყო „რუსული“, რომ ეს იყო ქვეყნის დაქცევა და უკუსვლა. ეს მეგობარი ინტელექტუალური თამაშების მოყვარულია. გადაცემა „რა, სად, როდის“ მისი ერთ-ერთი საყვარელი გადაცემაა და მის მონაწილეებსაც, თავისთავად, დიდ პატივს სცემს. ერთხელ, როდესაც სიღრმისეულად ვისაუბრე მასთან და კანონის თითოეული პუნქტი გავიარეთ, მითხრა — აბა, ეს ჭკვიანი ადამიანები, ბაქრაძე, მოსიძე და სხვები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა უყვართ, რატომ ამბობენ, რომ ეს კანონი ჩვენთვის დამღუპველიაო? ამას რატომ აკეთებენო? — ლოგიკურად მივიდა ამ კითხვამდე. მის თვალში ავტორიტეტი აქვთ ამ ადამიანებს და უჭირს იმის გაანალიზება, რომ ისინი, შესაძლოა, რაღაცას ფულის გამო აკეთებდნენ. გიორგი მოსიძე ჩემთვისაც ავტორიტეტი იყო თავის დროზე, როგორც მოაზროვნე, მაგრამ მის პოლიტიკურ პოზიციას ვერ დავეთანხმები! იმედი მაქვს, ჩემი თაობის ის ნაწილი, ვინც გოროტების პროპაგანდის „მსხვერპლია“, მალე მიხვდება ამას და მისი გულწრფელობით მანიპულირების საშუალებას აღარავის მისცემს!**

ესაუბრა

**ნონა ქარქაშაძე**

**აშშ-ის გაზეთ „უოლ სთრით ჯორნელში“** (The Wall Street Journal) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„რუსეთმა დონალდ ტრამპის მუქარები უკუაგდო: მოსკოვი თვლის, რომ უკრაინასთან ომის გასაგრძელებლად რესურსებიც ბევრი აქვს და ცოცხალი ძალაც საკმარისი ჰყავს“** (ავტორი — თომას გროუვი და მეთიუ ლაქსმური).

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**




# რუსეთმა დონალდ ტრამპის მუქარები უკუაგდო

## მოსკოვი თვლის, რომ უკრაინასთან ომის გასაგრძელებლად რესურსებიც ბევრი აქვს და ცოცხალი ძალაც საკმარისი ჰყავს

THE WALL STREET JOURNAL
WSJ

**დონალდ ტრამპის** პირველი მცდელობების საპასუხოდ — მიიტყუოს თავისი რუსი კოლეგა ვლადიმერ პუტინი მოლაპარაკების მაგიდასთან უკრაინის საკითხზე — კრემლმა, როგორც ჩანს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. „ჩვენ ამერიკის ლიდერის ნათქვამში ახალს ვერაფერს ვერ ვხედავთ“, — თქვა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა თავის სოციალურ ქსელში **Truth Social**-ში მოსკოვი გააფრთხილა, რომ თუ მოლაპარაკებაზე არ დათანხმდება, მოსკოვზე ეკონომიკურ ზეწოლას გააძლიერებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სამი წლის განმავლობაში დასავლეთმა რუსეთს უამრავი სანქცია გამოუცხადა, ის კი მაინც ფეხზე დგას და ომს წარმატებით აგრძელებს. ასე რომ, ვლადიმერ პუტინის გარემოცვაში აქვთ იმის საფუძველი, რომ დონალდ ტრამპის მუქარები ფუჭ გასროლებად ჩათვალონ. რა თქმა უნდა, ომი ქვეყნის მატერიალური და ცოცხალი ძალის რესურსებს შთანთქავს, მაგრამ კრემლი თვლის, რომ სრულიად წარმატებულად უმკლავდება სანქცია-ემბარგოებს და რომ მოსკოვს აქვს შესაძლებლობა, კიდევ სამი წელი იომოს — რუსები, ადრინდებულად გააფორმებენ კონტრაქტებს და ფრონტზე წავლენ.



მართალია, რუსეთი ფულსაც ბევრს ხარჯავს და ადამიანების რესურსსაც, მაგრამ ანალიტიკოსების თქმით, კრემლს ერთიც საკმაოდ ბევრი აქვს და მეორეც — ომის გასაგრძელებლად და გამარჯვების მისაღწევად. რუსეთის ჯარები ნელა, მაგრამ შეუპოვრად წინ მიდიან, იპყრობენ და საფრთხეს უქმნიან უკრაინის სოფლებს და ქალაქებს.დღეს რუსეთი უკრაინის ტერიტორიის თითქმის ერთ მეხუთედ ნაწილს აკონტროლებს.

**„რა თქმა უნდა, ჩვენ ეკონომიკაში გარკვეული დისბალანსი ნამდვილად გვაქვს. არის ინფლაციაც... მაგრამ არა იმდენად მწვავე, რომ ვინმემ ომის უცილობელი შეწყვეტა მოგვთხოვოს და თუ მას არ დავეთანხმებით, რუსეთი დაინგრევა“,** — ამბობს **ვასილი კაშინი,** მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის ევროპული და საერთაშორისო კომპლექსური კვლევების ცენტრის დირექტორი, — ჩვენც შეგვიძლია დაბეჯითებით მოვითხოვოთ ჩვენი პირობების შესრულება... და თუ უკრაინის ეკონომიკა ნგრევას გააგრძელებს (და მერწმუნეთ, ეს ასეც იქნება), მაშინ აშშ-სთვის გონივრული იქნება ჩვენს პირობებზე დათანხმდეს“.

ამჟამად ისეთი ვითარებაა, რომ აშშ-ში უკრაინისათვის მორიგი დახმარების პაკეტის მიცემას არავინ არ ფიქრობს, შესაბამისად, დონალდ ტრამპის გაფრთხილება საკმარისი არაა იმისათვის, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს და თავისი ძირითადი მოთხოვნები შეცვალოს. გავიხსენოთ: კრემლს სურს, რომ დასავლეთმა რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები აღიაროს, უკრაინამ ნატოში გაწევრებაზე უარი განაცხადოს და თავისი არმია შეამციროს.

როგორც ჩანს, კრემლი უფრო იმისკენ იხრება, რომ დონალდ ტრამპის განცხადება, ზოგადად, პოზიორობად შეაფასოს და არა ძალისხმევად მოლაპარაკების გამართვის მიზნით. კრემლი სერიოზულ წინადადებას ელოდება ვაშინგტონისგან.

სხვათა შორის, კიევმა აღიარა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება არარეალურია, თუმცა ამის სანაცვლოდ უკრაინა ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს, რათა რუსეთმა, ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შემდეგ, ვერ მოახდინოს ძალების გადაჯგუფება და ახალი დარტყმის მიყენება უკრაინისათვის. რუსეთი აცხადებს, რომ უკრაინამ უნდა გაითვალისწინოს „ახალი ტერიტორიული რეალიები“, ანუ, ფაქტობრივად, სამუდამოდ დაუთმოს მოსკოვს თავისი მიწა-წყალი, რომელიც საომარი მოქმედებების დროს დაკარგა.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის, უკრაინის და აშშ-ის შორის რამდენიმეწლიანი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის ფონზე, ვლადიმერ პუტინის მიერ დონალდ ტრამპის ახალი გაფრთხილება მისი ერთგვარი ფანდის სახით იქნა აღქმული: ამერიკის პრეზიდენტი ცდილობს თავისი პოზიციები განამტკიცოს და აშშ-ის, მტრების მიმართ ისეთი ხისტი და მკაცრი პოზიცია გამოავლინოს, როგორც ამომრჩეველს დაჰპირდა. „ვლადიმერ პუტინი დონალდ ტრამპის განცხადებებში პოლიტიკური თამაშების ელემენტს ხედავს. კრემლი მათ სერიოზულად არ აღიქვამს“, — ამბობს პოლიტოლოგი **ტატიანა სტანოვაია,** რომელიც პარიზში მუშაობს, — იგი მზად არის მოვლენების ნებისმიერი განვითარებისათვის და არ აქვს იმის ილუზიები, რომ სამშვიდობო შეთანხმება მალე დაიდება“.

**ტატიანა სტანოვაიას მტკიცებით, რასაკვირველია, რუსეთის ეკონომიკაზე ზემძიმე დატვირთვა პრეზიდენტის შეშფოთებას იწვევს, მაგრამ არა ისეთს, რომ იგი იძულებული გახდეს, უკრაინის მიმართ უკან დაიხიოს. ვლადიმერ პუტინისათვის, რომელიც უკვე 25 წელია რუსეთის მეთაურია, უკრაინასთან ომი ისტორიულ შესაძლებლობას წარმოადგენს ‚გააერთიანოს ორი ქრისტიან-მართლმადიდებელი ქვეყანა და შეაჩეროს უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული დასავლეთის „მცოცავი ექსპანსია“ რუსეთის უკანა ეზოში.**

**დღეს ვლადიმერ პუტინი უპირატესობას ომის ისეთ ამბიციურ დარეგულირებას აძლევს, რომელიც იალტის კონფერენციაზე იქნა მიღწეული მეორე მსოფლიოს ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე სსრ კავშირის, აშშ-ისა და ბრიტანეთის ლიდერებს შორის, ანუ კრემლის სურვილია, იგივე მოხდეს, რაც იალტაში მოხდა: ევროპა გავლენის სფეროებად იქცეს დასავლეთსა და რუსეთს შორის.**

დონალდ ტრამპმა, თავის მხრივ, აღიარა, რომ ომის შესაწყვეტად საჭირო გახდება ბევრად უფრო მეტი ვადა, ვიდრე იგი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვარაუდობდა — „თეთრ სახლში როგორც კი დავჯდები, ომს 24 საათში დავასრულებო“. ინაუგურაციის მომენტში მან თქვა, რომ „უკრაინას სურს, ‚გარიგება დადოს“, მაგრამ რუსეთმა შეიძლება არ მოისურვოსო.

პოლიტოლოგების ვარაუდით, დონალდ ტრამპის მუქარები ახალი ანტირუსული სანქციების შემოღების თაობაზე ნიშნავს იმ გარემოების გაცნობიერებას, რომ გარიგების მისაღწევად საჭირო იქნება გარკვეული პერიოდი, თუმცა, მათივე შეფასებით, ახალმა სანქციებმა შეიძლება საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ მოსკოვი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომაზე უარს იტყვის.

„რუსებს ყოველთვის სურთ, რომ მათთან პირდაპირ და მესამის ჩარევის გარეშე ისაუბრონ (ამ შემთხვევაში მესამე სუბიექტად უკრაინა მიიჩნევა). კრემლი ჯერ კიდევ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს იყო გაღიზიანებული მოლაპარაკების მისეული სტილით“, — ამბობს **ოლეგ იგნატოვი,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო კრიზისულ ჯგუფში“ მუშაობს, — ასე რუსეთთან ურთიერთობა არ შეიძლება“.

**წყარო: https://www.wsj.com/world/russia/russia-brushes-off-trumps-threats-on-ukraine-2e1e306c?mod=hp_lead_pos4**

# ბნელი ღამე და მასთან დაკავშირებული მოვლენები

...ავიღოთ გიორგი ლეონიძის პატარა ლექსი-შედევრი „ღამე ივერიისა“. ეს „ღამე“ ორგვარად შეიძლება გავიგოთ: პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ბუნებრივი მოვლენა და როგორც უბედურების მაუწყებელი სიმბოლო, ბნელი ღამე, უკუნი ღამე, რომელმაც მოიცვა შენი სამშობლო, რაზედაც პოეტის ერთი ფრაზა მეტყველებს: „დახანძრებული წევს ივერია“. მოვიყვანოთ ეს ლექსი მთლიანად.

**ისევ აყვავდა გული ვარდივით,**
**და ისევ მინდა შენზე დავწერო...**
**დარიალიდან გადავარდნილი**
**ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.**

**დახანძრებული წევს ივერია,**
**მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,**
**მეტივეები სადღაც მღერიან,**
**სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...**

**სთვლემენ ზეღლებში ლურჯი ყანები,**
**ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი.**
**ჩალადგნენ ყველა ჩინგისხანები...**
**სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.**

**სთქვი ნაღვლიანი ძველი ქართლივით,**
**ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ...**
**დარიალიდან გადავარდნილი**
**ხაზარეთისკენ მისცურავს წერო...**

აქ პოეზიის მოყვარული უთუოდ შეიგრძნობს, გარდა ზემოთ დასახელებული პოლიტიკური მომენტისა, ვეებერთელა



მშვენიერებას, რომელიც გამოაშუქებს ამ ლექსიდან და მკითხველს ეფინება მისი სხივი, როგორც „ერთი ზღაპარი“. ვისთვის არ არსებობს ეს ლექსი, ვინ ვერ იგრძნობს ამ ლექსის მშვენიერებას და ვინ ვერ ჩასწვდება მის სიღრმეს? რა თქმა უნდა, თბილისის ქუჩებში მოხეტიალე გაუნათლებელი, თავხედი და ხშირად დაქირავებული ახალგაზრდა დემონსტრანტები (ე. წ. „ნაცების“ ხროვაზე და მის მოძმე პარტიებზე სიტყვის დაძვრაც არ ღირს). ასევე ვერ ჩასწვდება ამ ლექსს ისიც, ვისაც მიზნად დაუსახავს მხოლოდ ჯიბის გასქელება, მხოლოდ ქონების გამრავლება და საამური ცხოვრება. მათთვის არათუ ეს ლექსი, საერთოდ არ არსებობს არავითარი პოეზია, ხელოვნება და ა. შ.

საკითხავია, რა გვიხსნის ასეთი ზნეობრივი ნიჰილიზმისგან და რა გადაგვარჩენს ამ ხროვის მისწრაფებებისგან, მათი წარმოდგენებისა და შეხედულებებისგან? ვფიქრობ, ეს იქნება საკუთარი ერის წარსულში ჩაღრმავება. აქ შეიძლება ვიპოვოთ ის ძალა, ის დასაყრდენი, რომელიც შეგვაძლებინებს აწმყოს ბოროტებასთან ბრძოლას. ხომ არ ვაჭარბებ? მაგრამ ფილოსოფიაში, პოეზიასა და ლიტერატურაში ამის მაგალითები უხვად მოიპოვება. ფილოსოფიაში: **ი. მიოზერი** ამტკიცებს, რომ „არსებული ვითარება უნდა დაემხოს და ამრიგად ნიადაგი მომზადდეს, რომ მასზე ახალი, ე. ი. ძველი გაიზარდოს. რევოლუციის მიზანი მომავალი ძველი ვითარების დაბრუნებაა“.

**ა. მოელერ ვან დენ ბრუკი წერდა: „კონსერვატიული** ადამიანი დღეს კვლავ იმ ადგილს ეძებს, რომელიც დასაწყისია. იგი დღეს ერთდროულად შემნარჩუნებელიც არის და ამბოხებულიც. იგი წამოჭრის კითხვას: რა არის შენარჩუნების ღირსი?“ მთელი რომანტიკული პოეზია „მისტიკურად დანახულ წარსულზეა მიმართული“ ასევე ნოვალისი, ღრმავდება რა საკუთარი ერის ისტორიულ წარსულში, იგი დადის იმპერატორ კარლოს დიდამდე და იქ ეძებს ხსნის საშუალებასა და ძალას. სხვათა შორის, ნებისმიერი კონსერვატიული პარტიისა და კონსერვატიზმის არსებობას ასეთი ხსოვნა და მეხსიერება განაპირობებს. ჩვენს შემთხვევაში რომელია ეს ისტორიული წარსული? დავით აღმაშენებელის და თამარის ეპოქა, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ ხასიათში ჩაბუდებულია უხსენებელიც, რაზედაც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი მოგვითხრობს: **„ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“** (ქართლის ცხოვრება, თბილისი 1955, გვ. 259). ასე რომ ისტორიული წარსული ერთობ მიმზიდველია, მაგრამ დიდ ხიფათებსაც შეიცავს.

მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოში ვერ გამოინახა პრეზიდენტი, რომელიც თავს აარიდებდა „დემონოლოგიკას“ (გერმანელი ფილოსოფოსის დოლფ შტრენბერგერის გამოთქმაა, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ სახელმწიფოს მეთაური მიზნად ისახავს მხოლოდ საკუთარი თავის დამკვიდრებას (ანუ დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც საბოლოო ჯამში მის გაბატონებას ემსახურება. აქ ავტორი მაკიაველის ეყრდნობა!

ხომ არ უკავშირდება დღევანდელი ამაზრზენი მოვლენები ჩვენს ბოროტ წარსულს? Ignoramus et semper ignorabimus – **არ ვიცით და არასოდეს არ გვეცოდინება!** მაგრამ ის, რომ გარკვეული ბოროტი მოვლენები არახალია და ისინი იმეორებენ იმას, რაც ჩვენს ისტორიულ წარსულში არაერთგზის მომხდარა, ეს თვალში საცემია, რასაც ვერავინ ვერ უარყოფს. სახელდობრ: ჩვენი ოპოზიციის თავკაცების გამუდმებული სირბილი ბრიუსელში და ვაშინგტონში საჩივლელად, რათა მათ საქართველოში „წესრიგი დაამყარონ“! აკად. ნიკო ბერძენიშვილი ბრძანებს: **„მთელი XVII საუკუნის სიგრძეზე ოსმალთა ჯარი არც ერთხელ არ შემოსულა დასავლეთ საქართველოში თუ არ მეფის, დადიანის, გურიელის ან სხვა თავადების მოწვევით. მეზობლის მიერ მიმძლავრებული მთავრის ან მეფის მოწვევით ოსმალთა ლაშქარი XVII საუკუნეში არაერთგზის შემოდიოდა დასავლეთ საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს“ აღადგენდა. ასე რომ დასავლეთ საქართველოს ფეოდალები, რასაც საკუთარის ხელით ვერ აოხრებდნენ, იმას ოსმალეთს ანადგურებინებდნენ“** (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973, გვ. 272).



სოსელო „ივერიის“ რედაქციაში

* * *

**მე არ ვიცი დღევანდელი ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი როგორ მოიქცევა, საერთოდ შეცვლის თუ არა ამერიკის პოლიტიკას საქართველოსთან დამოკიდებულებაში, მაგრამ საშიშროება დიდია, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, რაც საქართველოსთვის დამღუპველი იქნება, თუ არ გამოინახა ის გზა, რაც რადიკალურად შეცვლის ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციას.**

მაგრამ ბნელი ღამე გრძელდება საქართველოში და გათენებას არ აპირებს. მსურს, ვილაპარაკო შედეგებზე, თუ რა მოუტანა საქართველოს ათეიზმმა არა მხოლოდ ეკლესიების ნგრევის სახით, არა მხოლოდ მღვდელ-მონაზვნების დარბევისა და ხშირად მკვლელობის სახით გასაბჭოების პირველ წლებში, არამედ **„ჩაკლული სულის“** სახითაც **(გრიგოლ რობაქიძის რომანის სახელწოდება)**, რისი გამოძახილიც გახლავთ აღვირახსნილი დემონსტრანტები. მაგრამ, როდესაც ამას ვწერ, არ მავიწყდება ათეისტებზე ღრმააზროვანი შენიშვნა ვლადიმირ სოლოვიოვის „სიკეთის გამართლებიდან“: „ცნობილია, რომ ბრმადშობილები არა მხოლოდ ჯანმრთელები არიან სხვა მხრივ, არამედ მხედველების წინაშე სრული უპირატესობა გააჩნიათ სხვა გრძნობების უკეთესი განვითარებით – სმენის, შეგრძნების. ამის მსგავსად ადამიანები, რომლებიც მოკლებული არიან ღვთაების სინათლის აღქმას, სხვა პრაქტიკულ და თეორიულ დამოკიდებულებებში არიან არა მხოლოდ სრულიად ნორმალურები, არამედ, ჩვეულებისამებრ, სხვებზე მეტ უნარს იჩენენ სხვა საქმეებსა და მეცნიერებებში. გასაგებია, რომ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებით იზიდავს სიცოცხლის აბსოლუტური ცენტრი, არ შეუძლია, თანაბარი ყურადღებით მოეკიდოს შეფარდებით საგნებს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კაცობრიობის საერო სპეციალურ ამოცანებში შრომისა და წარმატების დიდი წილი ეკუთვნით ადამიანებს, რომლებისთვისაც უმაღლესი ნათელი დაფარულია. მაგრამ, გარდა ასეთი „შრომის განაწილების“ ბუნებრიობისა, მასში ვპოულობთ ათეიზმის რაღაც ტელეოლოგიურ განმარტებასაც, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს საერთოდ რაღაც დადებითი, კეთილი მიზნის გარეშე, როგორიც არ უნდა იყოს თითოეულ შემთხვევაში მისი განსაკუთრებული უარყოფითი მიზნები“.

ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ათეისტური ხელისუფლება, განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ (დაუნდობელი ტერორის წელი), საქართველოში პოზიტიური საქმეებითაც გამოირჩეოდა. ავიღოთ თუნდაც სტალინის მიერ აკრძალული ილია ჭავჭავაძის რეაბილიტირება. ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე ილია ჭავჭავაძის სკოლაში სწავლება აიკრძალა, როგორც ფეოდალის, რომელიც მშრომელებს ატყავებდა და ჩაგრავდა. მასზე გავრცელებული იყო ასეთი გამოთქმა: **„ატყლაშუნებდა შოლტებს მგოსანი, ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი!“** მისი მკვლელი ბოლშევიკი ბერბიჭაშვილი სახელმწიფო პენსიას ღებულობდა. და ამ დროს გაისმა ყოვლად ძლიერი ბელადის, სტალინის ხმა: „აღადგინეთ!“ მართლაც, ასე მოხდა. აღადგინეს. მისი მკვლელი ბერბიჭაშვილი დახვრიტეს. როგორც ჩანს, სტალინს არ დაევიწყებინა, რომ მას, ახალგაზრდა სოსელოს, მშვენიერ პატრიოტულ ლექსებს უბეჭდავდა ილია თავის „ივერიაში“.

ამასთან დაკავშირებით ერთი გახსენება მსურს, გავუზიარო მკითხველს. აკ. ბაქრაძის კაბინეტში ვართ მე და მწერალი ნოდარ წულეისკირი, როდესაც აკ. ბაქრაძე რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო. მისთვის დამახასიათებელი კისკისით კაკო მოგვიყვა, თუ თავის კაბინეტში როგორ გაუსწორდა **НКВД**-ს შეფი **რაფავა** ილიას მკვლელობის ორგანიზატორს, ცნობილ **ფილიპე მახარაძეს**. „რა უქენით ილიას?!“ – თვალების ბრიალით მიმართა რაფავამ **ფილიპე მახარაძეს.** ეს უკანასკნელი დუმს. „რა უქენით, რა უქენით!“ – და ღრიალთან



ა. რაფავა



ფ. მახარაძე

ერთად **რაფავამ** ჩაბღუჯა ფილიპეს თხასავით წვერი და ტაქტში „რა უქენით, რა უქენით!“ სულ ზემო-ქვემოთ აქანავა ფილიპეს თავი, ასე რომ, ხელში მისი ბებრული თეთრი წვერების ბღუჯა შერჩა. კაკოს სიცილ-ხარხარი ჩვენც გადმოგვედო. აშკარა იყო, რომ აკ. ბაქრაძეს დიდჩინიან ჩეკისტთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელიც ამ სცენის მოწმე იყო და ახლა მის მონაყოლს გვიყვებოდა.

შემდეგი სიკეთე ათეისტებისაგან, რაც პირადად მახსოვს, ეს იყო საბჭოთა ხელმძღვანელების მიერ ქართული სკოლებისა და საერთო ქართულად სწავლებისათვის ხელის შეწყობა, საქართველოს ისტორიის სწავლება, ქვეყნის სიმდიდრე, კულტურის აღმავლობა, მოსახლეობის მატება და ა. შ. სხვათა შორის, ზნეობაც დაცული იყო. მამათმავლებს ასამართლებდნენ. ასევე გამოიცემოდა რუსულ ენაზე ძველი ფილოსოფოსების ნაწარმოებები (ზოგჯერ ქართულ ენაზე) XIX ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, მაგრამ სავალდებულო იყო მარქსიზმისა და ათეიზმის სწავლება. ასე რომ, ათეიზმი არა მხოლოდ მოსწავლეებისა და სტუდენტების ტვინში ილექებოდა, არამედ მწერლების, ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების ცნობიერებაშიც.

საინტერესოა, საიდან დაიწყო ათეიზმმა საქართველოში ფეხის მოკიდება? „გიორგი XII, ღვთისმეტყველებაში დიდად განსწავლული, რომელსაც, როგორც იტყოდნენ, მონაზვნობა უფრო შეშვენოდა, ვიდრე მეფობა, ვერ ურიგდებოდა რაციონალიზმის მოძღვრების მიმდევარს, თავისი მემკვიდრის დავითის ათეისტობას. მეფემ სრულიად დაკარგა წონასწორობა, როცა დავითმა თავისი კაბინეტიდან მაცხოვრის ხატი გამოაძევა და მის მაგივრად ვოლტერის სურათი დაკიდა“ **(აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 21)**. თუმცა ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ვოლტერი დეისტი იყო, და არა წმინდა წყლის ათეისტი, მაგრამ ისეთი დეისტი, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას ქვეწარმავალს ეძახდა და მის „ფეხით გასრესას“ ითხოვდა. ასე რომ ,დიდად არ შემცდარა გიორგი XII.

შემდეგი ეტაპი, როდესაც საქართველოში ათეიზმმა იწყო ფეხის მოკიდება, ეს ჩვენში მარქსიზმის მიმდევართა გამოჩენაა. მათ უსასტიკესი ბრძოლა გაუმართეს ილია ჭავჭავაძეს („ენა, მამული, სარწმუნოება“). გამოჩენილი ისტორიკოსი გივი ჟორდანია, ასე ასრულებს თავის წიგნს ილიაზე: „ილიას ერთ-ერთი მთავარი მკვლელი იყო ქართველი ზომიერი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, ბ-ნი ნოე ჟორდანიაც. ის კალმით კლავდა ილიას, ხოლო ერის მამის მკვლელობიდან ექვსი წლის შემდეგ მანვე, ბ-მა ნოემ, იკისრა დაცვა ილიას „ტყვიით მკვლელობის“ მთავარი რედაქტორისა და თავისი „ღირსეული“ კოლეგის – ფილიპე მახარაძისა“ **(გივი ჟორდანია, „მარტვილობა მესიისა“, თბ., 2005)**. „მენშევიკების“ კისერზეა ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II მკვლელობა (იხ. ჩემი წერილი „ორი სამარცხვინო მკვლელობა და რუსეთის პოლიტიკა საქართველოში“ – ფილოსოფიურ-პოლიტიკური კრებული, თბ., 2021).

როგორც ვთქვით, ათეიზმის სწავლება მარქსიზმის სახით გაბატონებული იყო ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მან გარკვეული კვალი ჩვენს ლიტერატურაზეც დატოვა (მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა), მაგრამ განსაკუთრებული კურიოზული ზემოქმედება მან ჩვენს ისტორიკოსებზე მოახდინა. დავარქვათ მათ მეთოდს თუნდაც პოზიტივისტური, ამით ვითარება არ იცვლება. მაგალითად, გამოჩენილი ისტორიკოსი **გიორგი მელიქიშვილი „ქართლის მოქცევაზე“ ასე მსჯელობს: „მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ დასავლური ორიენტაციის შედეგი იყო ქართლის, ისევე როგორც მეზობელი სომხეთის მიერ, ქრისტიანობის მიღება ოფიციალური რელიგიის სახით IV ს-ის დასაწყისში“.** (საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. I, თბ. 2012, გვ. 213). მაგრამ სად არის წმ. ნინო, რომლის რელიგიურმა გზნებამ განაპირობა მეფე-დედოფლის მოქცევა? როგორც ჩანს, ეს ისტორიკოსს ლეგენდად მიაჩნია. ან ავიღოთ ისტორიკოს **დავით მუსხელიშვილის** მოსაზრება ისლამის აღმოცენების შესახებ. იგი წერს: **„არაბული საზოგადოება კრიზისმა მოიცვა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნის პროცესში დაიბადა იდეა საგარეო დაპყრობითი ომების შესახებ სირია-ირანზე გამავალი საქარავნო გზების ხელში ჩასაგდებად. ამისათვის კი საჭირო იყო**


ბოლშევიკური ანტირელიგიური კამპანია

**არაბეთის პოლიტიკური გაერთიანება, რაც, შესაძლებელია, განხორციელებულიყო ერთიანი მონოთეისტური რელიგიის მეშვეობით, რომელიც გააერთიანებდა ყველა არაბს და დიდი დაპყრობითი ომების იდეოლოგიური საფუძველი გახდებოდა. მართლაც, ეს იდეა განხორციელდა VII ს-ის 20-იან წლებში და მისი ინიციატორი იყო მუჰამადი“. (საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. II, თბ. 2012, გვ. 124).**

სხვა საკითხია, თუ მუჰამადის რელიგია რამდენად სწორია ქრისტიანობასთან მიმართებაში, მაგრამ ისლამი რომ რელიგიაა, დღეს აღიარებული ფაქტია. დ. მუსხელიშვილის მიერ კი ისე გამოდის, ცოტა უტრირებას თუ მოვახდენთ – მაჰმადს იმიტომ უქადაგნია, რომ „სირია-ირანზე გამავალი საქარავნო გზები“ ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ ისტორიული ფაქტების მცდარ შეფასებას ვერც ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** განერიდა. მან თავის დროზე ცნობა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ ლეგენდად გამოაცხადა. ამის გამო იგი სამართლიანად გააკრიტიკა მიხეილ თამარაშვილმა (დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. ჩემს წიგნში „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“, თავი „რელიგიური გამოცდილება და ისტორიული კვლევა“, თბ. 2006). ასევე დასანანი ფაქტია, მეფე დემეტრე თავდადებულის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება – სამშობლოს გადარჩენის მიზნით. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ ეს იყო „პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება“, რომელსაც „თავგანწირულების მომხიბვლელობა ასხივოსნებს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ. 1966, გვ. 230). როგორც ვხედავთ, ბატონი ივანე ყოველმხრივ ამკობს დემეტრე თავდადებულს, მაგრამ რელიგიური მომენტი არ ჩანს. ამ დროს პირველწყარო, ჟამთააღმწერელი გვამცნობს: მეფე დემეტრემ **„ილოცა და ეზიარა სისხლსა და ხორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტეს ღმრთისათა... ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქუეყანასა ზედა, და მერმე წარუპყრა ქედი“.**

ცოტა კომიკური ვითარება შეიქმნა აკაკი ბაქრაძესთან დაკავშირებით. მას, როგორც ჩანს, მოეწონა ივ. ჯავახიშვილის გამოთქმა „პასუხისმგებლობის შეგნება“ და ეს გადმოიტანა ქეთევან დედოფლის საქციელზე და თანაც ქრისტიანობა „ფანატიზმად“ გამოაცხადა. იგი სხაპასხუპით იმეორებს: „რა არის ქეთევან დედოფლის საქციელი – მართლმორწმუნე ქრისტიანის ფანატიზმი, თუ ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება? პასუხი ერთია. ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება“ **(აკაკი ბაქრაძე, კრიტიკული გულანი, თბ. 1977)**.

აქ მომიხდება იმის გამეორება, რაც ერთხელ დავწერე ამასთან დაკავშირებით. ზემო წინადადებაში სიტყვა „ფანატიზმი“ მისი უარყოფითი მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, საკითხავია: განა „ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებას“ მართლმორწმუნე ქრისტიანის რელიგიური გზნება გამორიცხავს? განა ჩვენი ისტორია, ჩვენი ყოფა ნათელი დადასტურება არაა იმისა, რომ იქ, სადაც რწმენა შეირყევა, ყოველგვარი „პასუხისმგებლობის შეგნებაც“ ქარწყლდება? განა რელიგია და პატრიოტიზმი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია, განსაკუთრებით მტრული მსოფლმხედველურ-რელიგიური დაპირისპირების დროს?

ასეთი პოზიცია მით უფრო უცნაურია იმ ავტორისაგან, რომელმაც საბჭოთა დროს ილიას „განდეგილს“ ჯეროვანი ადგილი მიუჩინა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, აარიდა რა მას ყოველგვარი ათეისტური ახსნა-განმარტება.

ან ავიღოთ ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი **ნიკო ბერძენიშვილი.** მას მიაჩნია, რომ **„ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი პოლიტიკას უკავშირდება... ნინოს მთავარი საზრუნავი ისაა, მირიანი მოაქციოს, ის კი, რა თქმა უნდა, ისეთ სარწმუნოებას მიიღებს, რომელიც ბიზანტიის კარისათვის არის მისაღები“** (ე. ი. ტყეში მზის დაბნელების დროს, როდესაც მირიანი სანადიროდ იყო წასული, ამ ფაქტმა შიში მოჰგვარა და საშველად უხმო „ნინოს ღმერთს“ – იესო ქრისტეს; თურმე, სულ იმაზე ფიქრობდა მირიანი, რაც „ბიზანტიის კარისათვის არის მისაღები“ – ვ. რ.). ნ. ბერძენიშვილი აგრძელებს: **„აქედან (ნინოდან) ჩვენში არისტოკრატირებული ქრისტიანობა შემოდის. ამავე დროს არსებობს ძველი გზებიც აღმოსავლეთიდან (სირია-სომხეთი-სპარსეთი). აქედან მოსული ტალღები დემოკრატიულ-ხალხოსნურია. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის – ეს არის იგივე ბრძოლა საზოგადოების კლასთა შორის“***...

ხომ კარგი დასაბუთებაა „საზოგადოების კლასთა შორის ბრძოლისა“? თქვენი არ ვიცი, და მე ეს სიყალბედ მიმაჩნია.

**ამით სულაც არ მსურს იმის თქმა, რომ დიდებული ისტორიკოსი რელიგიის როლს ჩვენს ისტორიაში ყველგან არასწორად აფასებდა. რად ღირს, თუნდაც, იმავე წიგნში წარმოდგენილი მსჯელობა აშოტ კურაპალატზე, რომელმაც ეკლესიას შეაფარა თავი და მისმა მკვლელებმა იგი ზედ საკურთხეველზე დააკლეს. ივანე ჯავახიშვილის საპირისპიროდ, ნიკო ბერძენიშვილი ამტკიცებს, რომ აშოტი არაბებმა კი არა, ქრისტიანებმა მოკლეს. იგი წერს: „(მკვლელები) რომ ქრისტიანები იყვნენ, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აშოტ კურაპალატი ეკლესიამ წმინდანად ვერ შერაცხა: ის რომ სარკინოზთა მიერ მოკლულიყო, რა თქმა უნდა, წმინდანთა შორის განისვენებდა, ისევე, როგორც არჩილი, ვახტანგი და სხვ. მრავალი“.**

სხვა მხრივ მომავლის ისტორიკოსს დიდი შრომა ელის, რათა გადახედოს ჩვენი ისტორიის არასწორ შეფასებას – წარსულში, თანამედროვე აზრის გადატანის მხრივ, ხშირად – ათეისტურის. აღარაფერს ვამბობ იმ მომწერლო სუბიექტებზე, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული ჩვენი სიწმინდეების დაბინძურება. ბოლო დროს, რატომღაც, წმ. ქეთევან დედოფალი აღმოჩნდა მათი ბილწი აზრების სამიზნე.

საით მიექანება საქართველო? მიექანება იქით, სადაც მთელი მსოფლიო – ქრისტეს მეორედ მოსვლისკენ, საბოლოო განკითხვისა და განსჯისკენ.

XX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი სამართალმცოდნე და დიდი მოაზროვნე კარლ შმიტი ამბობს, როდესაც ის მსჯელობს შუა საუკუნეების ქრისტიანულ იმპერიებზე, რომ „ქრისტიანული იმპერიისთვის არსებითი ის არის, რომ იგი არ წარმოადგენს მარადიულ სამეფოს, არამედ აცნობიერებს თავის მოსალოდნელ დასასრულსა და მისი თანამედროვე ეონის დასასრულს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეუძლია, იყოს ისტორიული ძალა. მისი, როგორც ისტორიული ძალის მუდმივობის გადამწყვეტი ცნებაა შემაკავებელი ძალის – კატეხონის (kat-echon) ცნება. „იმპერია“ აქ ნიშნავს ისტორიულ ძალას, რომელსაც აქვს უნარი, ანტიქრისტე და თანამედროვე ეონის დასასრულის მოსვლა შეაკავოს, აიცილოს“ **(იხ. იმპერია, ისტორიულ-ფილოსოფიური გააზრება, ნაშრომთა კრებული. შემდგენელი გულბაათ რცხილაძე. თბილისი 2022).**

**რაკი ქრისტიანული იმპერიები აღარ არსებობენ და მათთან ერთად შემაკავებელი ძალაც, საქართველო მთელ მსოფლიოსთან ერთად უფრო სწრაფად მიექანება საბოლოო განკითხვისა და განსჯისკენ.**



**ვიქტორ რცხილაძე**

* ნ. ბერძენიშვილის ეს აზრები იხ. წიგნში ნიკო ბერძენიშვილი: საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბილისი, 1979 წ., გვ. 24.

## ტაკერ კარლსონი: ბაიდენის ადმინისტრაცია პუტინის მოკვლას აპირებდა

**აშშ**-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია და კერძოდ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მოკვლის გეგმას ამუშავებდნენ, – ამის შესახებ განაცხადა ამერიკელმა ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს.



„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ტონი ბლინკენი არსებული ომის [უკრაინაში] გაგრძელების მომხრე იყო, პუტინის მკვლელობის მცდელობაა. ბაიდენის ადმინისტრაცია მართლა აპირებდა პუტინის მოკვლას“, – თქვა კარლსონმა.

კარლსონს არ დაუკონკრეტებია, თუ როგორ და სად უნდა მომხდარიყო პუტინის მკვლელობა, თუმცა ის ასეთ მცდელობებს სულელურს უწოდებს. მისი თქმით, ბაიდენის ადმინისტრაცია ამას აკეთებდა იმიტომ, რომ „მისთვის ქაოსი არის დამცავი ფარი“.

# აცრა, არააცრა, საკითხავი ისევ ეს არის!



## „ჩასაფრებული“ პროფესიონალი ექიმის დიდაქტიკური შეკითხვები

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს
– **მიხეილ სარჯველაძეს!**

ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს
– **პაატა იმნაძეს!**

ჯანმოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს
– **სილვიუ დომენტეს!**







2025 წლის 27 იანვარს საზოგადოებრივ მაუწყებელზე, გადაცემაში „აქტუალური თემა“, (22:00) თქვენ რეკლამას უწევდით პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას და საზოგადოებას კატეგორიული ტონით არწმუნებდით იმაში, რომ 10-14 წლის გოგო-ბიჭების (და უფროსებისაც) **აცრა მათ სამუდამოდ დაიცავს საშვილოსნოს ყელის და სასქესო ორგანოების კიბოსაგან მომავალში** – ქალებს 40-65 წლის, კაცებს კი 50-70 წლის ასაკში, ანუ მაშინ, როდესაც ხდება ამ დაავადებების გამოვლინება.

სამივეს გთხოვთ (ერთად, გნებავთ, – ცალ-ცალკე) გარკვევით და კონკრეტულად, ამერიკა-ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს კვლევითი და სტატისტიკური მონაცემების მოყვანით, გვიპასუხოთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებზე:

**პირველი კითხვა:** პაპილომავირუსის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა 2006 წელს შეიქმნა და მალევე, 21-ე საუკუნის პირველი დეკადის ბოლო წლებში, დაიწყო 9-14 წლის გოგონების აცრა სკოლებში, მათი მშობლების თანხმობის გარეშე (შემდეგ წლებში აცრა დაუწყეს ბიჭებსაც)!

**იყო თუ არა სასწრაფო და აუცილებელი არასაკმარისად გამოცდილი ვაქცინით საყოველთაო ვაქცინაციის წამოწყება ბავშვებში?**

**მეორე:** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პაპილომავირუსი სექსუალურად აქტიური ქალების და კაცების 90 %-ს აქვთ, დაავადებით კი 100 000 ქალიდან მხოლოდ 10-ს უჩნდება საშვილოსნოს ყელის კიბო 40-65 წლის ასაკში (ანუ 0.01%-ს); კაცებიდან კი – 100 000-დან – მხოლოდ ერთს ემართება სასქესო ასოს კიბო 55-70 წლის ასაკში (0.001%), თქვენ მაინც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მილიონობით, ასეულმილიონობით ადამიანის უფასოდ აცრა და მილიარდობით დოლარის აბსოლუტურად უაზრო ხარჯვა? თუ ისეთი ფილანტროპები ხართ, რომ ფულს კი არა, სულსაც არ დაიშურებთ კავკასიელებისთვის და აზიელ-აფრიკელებისთვის? ეს კითხვა ჯანმოს წარმომადგენელს – **დომენტეს** ეხება!

საქართველოზე მაფიქრალ **იმნაძე-სარჯველაძეს (გამყრელიძესაც,** კოვიდპანდემიის პერიოდში გაწეული „უმწიკვლო“ სამსახურისთვის): **შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია არ გაგაჩნიათ ვაქცინებზე, თუ ახლაც თავწაღუნული, უსიტყვოდ ასრულებთ დასავლეთიდან მიღებულ „რეკომენდაციებს“?** რომ გვამუნათებთ: ვაქცინის ერთი დოზა რამდენიმე ასეული დოლარი ღირს და ჩვენ კი (ლამაზი თვალებისთვის, ცხადია!) უფასოდ გვაძლევენო, ნუთუ ცნობილი გამოთქმა: „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“, – თქვენთვის უცნობია?

**მესამე:** ამბობთ, რომ პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა უსაფრთხოა და, თანაც, **სამუდამოდ იცავს ქალსაც და კაცსაც, ანუ აცრიდან 40–50 წლის შემდეგაც. რის საფუძველზე ამტკიცებთ ამას?**

ცნობილია, რომ **ერთი ვაქცინაც კი არ არსებობს, რომელსაც სერიოზული გართულებები და სიკვდილი არ გამოეწვიოს! სამუდამო იმუნიტეტს კი არცერთი ვაქცინა არ იძლევა, არცერთი** (მაგალითად, პანდემიის პერიოდში გაპიარებულ კოვიდვაქცინას, თუნდაც, ოთხჯერ იყო აცრილი, გართულებების მეტი არაფერი მოაქვს, იმუნიტეტს კი, პირიქით, აქვეითებს და ამიტომაც უფრო ხშირად აცრილები ხდებიან ავად)! რაც შეეხება პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინებს, ახლა რომ ცხვირში გვატენიან, აქაოდა, რა გენაღვლებათ, მუქთააო, ამ ვაქცინების მთავარი სპეციალისტი, დოქტორი **დაიანა ჰარპი** ჯერ კიდევ 2009 წელს გვაფრთხილებდა, რომ ეს ვაქცინები **არ აქვეითებენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადებიანობის მაჩვენებელს** და, რომ **მათი ეფექტურობა საერთოდ არ შესწავლილა!** დადასტურებული კი მხოლოდ ერთი რამ არის: **პაპილომავირუსის ვაქცინები ექსპერიმენტში უნაყოფობას (ანუ უშვილობას) იწვევენ!** ეს არის მთავარი გართულება და სწორედ ამის მიღწევას ცდილობს ჯანმო **ბილ გეიტსის** ფინანსებით და მითითებებით, **მიზანი დეპოპულაციაა!**

**მეოთხე: იცით თუ არა ვაქცინებში შემავალი ინგრედიენტების: ქიმიკატების, შხამების, ალუმინის ნანონაწილაკების, ვირუსების და კიბოს უჯრედების ზემოქმედების შესახებ ადამიანის, განსაკუთრებით, ახალშობილების და მოზარდების ორგანიზმზე?**

**მეხუთე: ვალდებული ხართ თუ არა, როდესაც ვაქცინის დადებით მხარეებზე საუბრობთ, დაწვრილებით ახსენოთ ყველა ის მოსალოდნელი სერიოზული გართულება, რაც კონკრეტულ ვაქცინაციას ახლავს და ამის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოთ მშობელი თუ ასაცრელი პირი?**

**მეექვსე: ობიექტურობისთვის საჭიროა თუ არა, რომ თქვენ მიერ ცალმხრივად მოწოდებულ ინფორმაციას ტელეეთერში, თან ახლდეს პარალელურ რეჟიმში, ოპონენტების მოსაზრებაც, რომლებზედაც თქვენ დამაჯერებელ პასუხს გასცემდით ფაქტების მოშველიებით?**

**დაბოლოს** – რამდენიმე, თქვენთვის კარგად ცნობილი (ამაში დარწმუნებული ვარ!) ფაქტი მკითხველისთვის:

დიდი ბრიტანეთის **პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა** 2002 წელს საჯაროდ **უარი განაცხადა, წითელაზე აეცრა თავისი ორი წლის ბიჭი?** ტონი ბლერმა ერთობ „პატიოსანი“ ახსნაც მოაყოლა: „ჩემი შვილის აცრაზე ვამბობ უარს, თორემ, როგორც პოლიტიკოსი(!) **მხარს ვუჭერ საყოველთაო (ანუ სხვების!) ვაქცინაციას“!**

სავალდებულო ვაქცინაციის კამპანიის ყველაზე აქტიურმა მონაწილემ, დეპოპულაციისთვის მებრძოლმა მილიარდერმა **ბილ გეიტსმა** თავისი **სამი შვილიდან ერთიც კი არ აცრა არანაირი ვაქცინით?**

**არ აცრა თავისი ქალიშვილები** ღორის გრიპზე **არც პრეზიდენტმა ობამამ?**



მაგალითები საკმარისზე მეტია, მაგრამ ამით შემოვიფარგლები.

ველი თქვენს გულწრფელ პასუხებს და საჯარო დისკუსიებს.

**იაკობ ლეჟავა,**
**28 იანვარი, 2025**

---

## ტრამპმა პრეზიდენტობის პირველ კვირაში იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე ბაიდენმა ოთხ წელიწადში

**დონალდ ტრამპმა** პრეზიდენტობის პირველ კვირაში იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე ბაიდენმა 4 წელიწადში, – ამის შესახებ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯეი დი ვენსმა განაცხადა.

„იმის მიუხედავად, რომ ბევრი გავაკეთეთ, ვერ შევძლებთ იმ ზიანის გამოსწორებას, რომელიც ჯო ბაიდენის პრეზიდენტობამ გამოიწვია. ტრამპი არ ზის ოვალურ კაბინეტში უქმად. ის აკეთებს ამერიკელი ხალხის საქმეს და მჯერა, რომ ისინი ბევრ კარგ შედეგს დაინახავენ“, – აღნიშნა ვენსმა.

მისივე თქმით, დაბადების შემდეგ მოქალაქეობის მიღება არის სულელური საიმიგრაციო პოლიტიკა მსოფლიოში.

„დროებითი მცხოვრებლები, ადამიანები, რომლებიც შემოდიან აქ ლეგალურად თუ არალეგალურად და არ აპირებენ დარჩენას, მათი შვილები არ უნდა გახდნენ ამერიკის მოქალაქეები. მე არ ვიცი არცერთი ქვეყანა, რომელიც ამას აკეთებს და რატომ ვიყოთ განსხვავებულები?!“ – დასძინა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა.

---

## ევროპა ყველაზე ექსტრემალურისამხედრო სცენარისთვის ემზადება

NBC News:

**ევროპის** ზოგიერთი სახელმწიფო შიშობს, რომ უკრაინის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საკუთარ არმიას მათ წინააღმდეგ მიმართავს. ინფორმაციას **NBC News**-ი ავრცელებს.

ამერიკული ტელეარხის ინფორმაციით, ლიეტუვა რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდების დანაღმვას გეგმავს, ბალტიის ზღვის სიახლოვეს ნატოს გემები რუსეთის ე.წ. ჩრდილოვან ფლოტზე ნადირობენ.

**NBC News**-ის ინფორმაციით, ევროპის ქვეყნების თავზე კი ისრაელის რკინის გუმბათის მსგავსი სარაკეტო თავდაცვის სისტემის მშენებლობა იგეგმება, რომლის მიზანიც უშუალოდ მოსკოვის მიერ ნასროლი რაკეტების ჩამოგდება იქნება.

# მ ა ხ თ უ მ ყ უ ლ ი . . . სიყვარულით მთვრალია

**თურქმენი ხალხის სიამაყე და დიდება, 300 წლის მახთუმყული ფირაგი თურქმენული პოეზიის დღემდე მიუწვდომელ მწვერვალს წარმოადგენს და, რაც მთავარია, მისი უკვდავი ქმნილებანი წიგნის თაროებზე კი არ იმტვერება, არამედ სამაგიდო წიგნებადაა ქცეული ყველა ჭეშმარიტი თურქმენისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ის იგავმიუწვდომელი ფასეულობანი, რომლებსაც ეს ბრძენი შემოქმედი ამკვიდრებდა თავის სამშობლოში.**

მახთუმყულის სიდიადე თუნდაც იმით განიზომება, რომ მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ითარგმნა და მყისვე იმ ქვეყნების სიტყვაკაზმული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

მახთუმყულიმ რუსთაველის სამშობლოშიც დაიდო ბინა. საქართველოში გამოიცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული პოეტური კრებული, რომელშიც დაივანა ამ გენიალური შემოქმედის ლექსებმა, რომლებიც ბრწყინვალედ თარგმნა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მაყვალა გონაშვილმა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლო წლებში ქალბატონი **მაყვალა გონაშვილის** ვიწრო სპეციალობად იქცა აღმოსავლური პოეზიის შედევრების თარგმნა. თავად განსაჯეთ, სწორედ ბოლო წლებში სწორედ მისი რუდუნების შედეგად იქცა ქართველი მკითხველის საკუთრებად ყირგიზული ეპოსი „მანასი“ და ყაზახური პოეზიის მშვენების აბაი კუნანბაევის შემოქმედება, ახლა მათ დაემატა მახთუმყულიც და შეიძლება ითქვას, რომ გადაიდგა დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა შუა აზიის ამ სამმა უმნიშვნელოვანესმა სახელმწიფომ საქართველოსთან ურთიერთობისას ლიტერატურული კავშირების ძალა და მნიშვნელობაც გაითვალისწინოს. მწერლობას, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ მწერლობას და ჭეშმარიტ მწერალს ზემოქმედების მართლაც რომ მაგიური ძალა გააჩნია. ეს ძალა გამოარჩევს მაყვალა გონაშვილს და სწორედ ამ ძალამ, მისმა სწორუპოვარმა თარგმანმა იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა თურქმენულ საზოგადოებაზე, რომ თურქმენეთის პრეზიდენტის, მისი აღმატებულება სერდარ ბერდიმუხამედოვის განკარგულებით იგი დაჯილდოვდა მახთუმყულ ფირაგის სახელობის სახელმწიფო პრემიითა და ოქროს მედლით.

სწორედ ამ პრემიით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა საქართველოს მწერალთა სასახლეში.

თურქმენეთის ელჩმა საქართველოში, ბატონმა დოვლეთმირატ სეითმამედოვმა საპატიო ჯილდო გადასცა მაყვალა გონაშვილს და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ლიტერატურული კონტაქტები ქართველ და თურქმენ მწერლებს შორის კვლავაც გაგრძელდება და ახალი შტრიხებით და ნიუანსებით გამდიდრდება.

ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **ნინო წილოსანი,** საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი **რევაზ მიშველაძე,** აკადემიკოსები **ვალერი ასათიანი** და **თამაზ შილაკაძე,** საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ცერცვაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ბადრი ქუთათელაძე.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა, პროფესორმა **პაატა სურგულაძემ** დამსწრეთ გააცნო აკადემიის პრეზიდენტის **როინ მეტრეველის** მისალმება მაყვალა გონაშვილისადმი და თავადაც მიულოცა ეს ბრწყინვალე ჯილდო მთარგმნელს.

გამომსვლელები საუბრობდნენ მახთუმყულის პოეზიის ქართული თარგმანის ღირსებებზე, იმაზე, თუ რა ფაქიზად, რა სათუთად მოეკიდა ქალბატონი მაყვალა ამ მეტად საპატიო მისიას, რა სრულყოფილად, რა უშუალოდ მოახერხა თურქმენული ენის ურთულეს ნიუანსებში წვდომა, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ ქართული მრავალსაუკუნოვანი სიტყვაკაზმული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კიდევ ერთი შედევრით გამდიდრებულიყო.






**თურქმენეთის ელჩი მახთუმყულის ოქროს მედალს გადასცემს მაყვალა გონაშვილს**

ცერემონიალის დასრულებისას მაყვალა გონაშვილმა მადლობა მოახსენა დამსწრეთ მისი მთარგმნელობითი ღვწის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის, განაცხადა, რომ ეს დიდი ჯილდო სრულიად ქართული მთარგმნელობითი სკოლის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის აღიარებაა, რომ ის ბედნიერად რაცხავს თავს, რომ იმ დიდი სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელია, რომელიც ათასი ძნელბედობის და გამოწვევის მიუხედავად მყარად დგას ფეხზე და ქართველი ერის საუკეთესო ინტერესებსა თუ მისწრაფებებს გამოხატავს. ჩვენი კავშირის სიძლიერის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ ახლახან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებად მწერალთა კავშირის სამი წევრი აირჩიეს – **სოსო სიგუა, ელდარ ნადირაძე** და **გიორგი სოსიაშვილი.** ქალბატონმა მაყვალამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კრებულში შესული რამდენიმე ლექსის ბრწყინვალე თარგმანი ეკუთვნით **ზეზვა მედულაშვილს** და **ერეკლე საღლიანს.**

დასასრულს შედგა მაყვალა გონაშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერის პრემიერა, რომლის ავტორიც **ია მაისაია** გახლავთ. სიმღერა შეასრულა მომღერალმა **ტატო გოდერძიშვილმა.**

დიახ, 300 წლის მახთუმყული ფირაგი სიყვარულით მთვრალია, იმ სიყვარულით, რომელიც ქართველმა ხალხმა მის მიმართ გამოიჩინა.

**ზაალ ბოტკოველი**

# მახთუმყული ფირაგი

**თარგმნა მაყვალა გონაშვილმა**

## *მე ხსნას დავეძებ*

სიყვარულის მონა ვარ და ატრეკიდან წამოვედი,
ამრევია გზა და კვალი, დავალ, ჩემს ნახევარს ვეძებ,
მომიხარა წლებმა ქედი, აღარ მწყალობს ეულს ბედი,
საუკუნის უდაბნოში მე სიმშვიდის ნობათს ვეძებ.

მშობლიური სახლ-კარიდან ბედმა სასტიკად გამდევნა.
რა ძნელია განშორება, სიკვდილსაც კი მოგანატრებს,
ოკრო-ბოკრო ბილიკებით ვიარე და ტკივილს ვეძმე,
ამაოების ბაზარში თვალ-მარგალიტს, დოვლათს ვეძებ.

მამედ-საპა, შენ აბდულა, სად ხართ, ჩემო ღვიძლო ძმებო?
მოლა მატამ, ნათესაო, შენ მაინც სად დამეკარგე?
უბედობას ავედევნე, ვერც ჩემს სისხლს და ვერც თავს ვარგე,
წინასწარმეტყველის ნებით, გულის დამწვავ ცრემლებს ვეძებ.

სამუდამოდ დაიბუდა მწუხარებამ ამ ჩემს გულში,
სისხლის ცრემლებს, მდუღარ ცრემლებს არვინ აგდებს აინუნში.
ბედი გამინაპირდა და უბედობა ამიხირდა,
ხან დავეძებ გაქრილ საფლავს, ხან გავექცე სიკვდილს, მინდა.

სინგუდაგის მწვერვალებო, ჩემო დიდო სიამაყე,
შენს ქარაფებს მე რამდენჯერ გადავევლე, როგორც ჯიხვი,
ახლა აღარც ჯიხვებს დავდევ, ბედმა შემიცვალა ნიხრი,
აღარც ლამაზ ჯეირანებს, დავალ, მბზინავ შავ გველს ვეძებ.

მახთუმყულო, ეს სამყაროს ბოლოა და დასასრული,
თავს დაგატყდა უბედობა, ყოფამ დაგიჩაგრა გული,
ჩემო ხალხო – თურქმენებო, ჩემო ძმებო, ჩემო დებო,
მოჩქეფს, მოჰქუხს ნიაღვარი, სულ ამაოდ, მე ფონს ვეძებ.

## *დოვლეთალი*

გაგიგია, თუ ვინ იყო, დოვლეთალი, მითხარ ერთი,
ურწმუნოთა რისხვა იყო, სუნიტთათვის – სხივთა სვეტი,
არ ისმინა ვინაც მისი ქადაგება, იყო რეტი,
დუნიაზე განთქმულია, სხვა რაღა ვთქვა ამის მეტი.

სიტყვა მისი ოქრო იყო, ქადაგება იყო ბრძნული,
მის იმედად იყო ბევრი უპოვარი, დაჩაგრული.
დღეს სახელი გმირთა-გმირის ლეგენდად და დარჩა მითად,
როცა მტერიც პატივს სცემდა, მოყვარეზე რაღა გითხრათ.

ბევრი ქვეყანა დალაშქრა, მუხლში ჩაიყენა ქარი,
არაერთხელ ასახელა თურქმენეთი დოვლეთალიმ.
მაგრამ ბედი ცბიერია, სიკვდილს დაუდგება თვალი,
გაზაფხული წელს უშენოდ შემობრძანდა, დოვლეთალი.

გულუხვი და ხელგაშლილი გაჭირვებულს ედგა მხარში.
ჩიტი მისი გამოზრდილი არწივს გაასწრებდა ცაში,
ცხრა დარაზულ კარს გახსნიდა ბრძნული სიტყვა, რჩევა მისი
ვინ აწონოს კაცის მადლი, რა დიდია დანაკლისი.

შეიკრიბნენ დიდებულნი, ამაყნი და გულზვიადნი,
ყველა დასტირის ქვეყნის თვალს უჩინო თუ ჩინიანი.
გლოვობს ქარი, კვნესის ქარი,
დოვლეთალი, დოვლეთალი.

გლოვის ცეცხლი ადნობს ყინულს,
დარდით ბარბაცებენ მთანი,
მზის ალმასმა ცა დასერა, ზეცას ამოუშრა თვალი,
ვარსკვლავეთში გადასახლდი გმირთა გმირო,
დოვლეთალი.

ურიცხვ ჯარს წინ მიუძღვოდი, გულმამაცი ალამდარი,
სხვა არავინ ახსოვს ჩვენს ხალხს,
შენი მსგავსი, შენი დარი,
თავს სწირავდი მოძმისათვის, მოყვასისთვის კარგის მდომი,
მაგრამ ფიცხელ ომში მუდამ სისხლისმსმელი იყავ ლომი.

სამოთხემდე მიაღწია ხალხის ლოცვამ და ვედრებამ,
რომ უყურო ქალთა გლოვას, კაცს სიკვდილი მოგინდება,
დოვლეთალის გზა და კვალი ცამდის ადის, არის წმინდა,
მაგრამ თავად გმირთა-გმირი სად ვიპოვოთ, სად წავიდა?

თვით ბუნებაც გლოვობს თითქოს, მწუხარეა ჩვენი ხალხი,
დოვლეთალის შავრა ცხენი მიწას ტორებს მწარედ ახლის,
ისმის გლოვა, ვაი-ვიში, დოვლეთალი! ტირის ყველა
და საავდრო ღრუბლის ჯარმა ზეცა მრუმედ გადაფერა.

მახთუმყულო, მსოფლიოში მისი ტოლი სხვა ვინ არის.
მტრისთვის იყო მახვილი და სამშობლოსთვის იყო ფარი,
თურქმენეთი იყო მისი სალოცავი, საფიცარი.
მისთვის ვტირი გულდამწვარი:
„დოვლეთალი, დოვლეთალი...“

## გახდით ახალი ლიტერატურული თაობის დაბადების მონაწილე

### მწერალთა სახლში ახალგაზრდა ავტორებთან მორიგი შეხვედრა გაიმართება

**„გახდით ახალი ლიტერატურული თაობის დაბადების მონაწილე“ – 31 იანვარს, 19:00 საათზე, საქართველოს მწერალთა სახლი ახალგაზრდა ავტორებთან მორიგ შეხვედრას უმასპინძლებს..**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, მწერალთა სახლმა და „ლიტერატურულმა გაზეთმა“ განაახლა შეხვედრები ახალგაზრდა ავტორებთან, რომლებმაც უკვე მოიპოვეს აღიარება „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე. პუბლიკაციები „ლიტერატურულ გაზეთში“ მათი შემოქმედებითი გზის მხოლოდ დასაწყისია.

ლიტერატურის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ, პირადად გაიცნონ თანამედროვე ავტორები: **აკაკი ბაბრიჯიძე** (პოეტი), **ნატალია ბეიტრიშვილი** (პოეტი), **ალექსანდრე ჯინჯარაძე** (პოეტი) და **ანი ბადალაშვილი** (პროზაიკოსი).

◉ მსოფლიოს თასი

# როგორც ყოველთვის...

**ახალი სპორტული სეზონი ქართველ მოფარიკავეთა ლიდერმა სანდრო ბაზაძემ, რომელმაც ბულგარეთში გათამაშებულ მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

ევროპის ორგზის გამარჯვებულმა, მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა 235 მეტოქესთან უმძაფრეს კონკურენციაში ჯერ მოხმალავეთა ტურნირის პირველ ეტაპზე ივაჟკაცა, სადაც რუსეთისა და გერმანიის 2 წარმომადგენელს სძლია, შემდეგ მეოთხედფინალში ოლიმპიადის ფინალისტი, აფრიკის ტუნისელი ჩემპიონი ფარეს ფერჯანი დაამარცხა მძაფრ ბრძოლაში – 15:14, მაგრამ ნახევარფინალში კორეელ სამგზის ოლიმპიურ და ხუთგზის გვირგვინოსან გო სან უკთან წააგო – 13:15.

დავძენთ, რომ გუნდურ ასპარეზობაში ჯვაროსან მუშკეტერთა კვარტეტმა (სანდრო და ბექა ბაზაძეები, ვახტანგ არჩვაძე, ალექსანდრე თავართქილაძე) მე-7 ადგილი აიკავეს.



◉ კორტზე



# სოფიოს ანტალია

**ამ დღეებში პოპულარულმა თურქულმა კურორტმა ანტალიამ ქალთა 15 ათასიან საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირს უმასპინძლა, სადაც მთავარ პრიზს მე-3 ნომრად განთესილი თბილისელი სოფიო შაფათავა დაეუფლა.**

მან უზბეკი, ნორვეგიელი, ავსტრიელი და რუმინელი მეტოქეების შემდეგ ფინალში 3 პარტიაში რუსი დიანა დემიდოვა დაამარცხა – 6:3, 4:6, 6:4.

◉ კორტზე

# სასარგებლო სპარინგები

**როგორც ცნობილია, ლადო კილასონიას გაწვრთნილი უმცროსი ბორჯღალოსნები ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს, მანამდე კი, როგორც ახლახან გაირკვა, ჩვენი გუნდი 23 და 28 თებერვალს ავჭალის სარაგბო სტადიონზე 2 საკონტროლო მატჩს სამხრეთ აფრიკის 20-წლამდელთა ნაკრებთან გამართავს.**

ლადო კილასონია: „ზამთრის ბოლოს საფრანგეთის ესპუარების ჩემპიონატში შესვენება იწყება და თუ ყველაფერი კარგად იქნება, მრისხანე მეტოქეებს ლეგიონერთა უმეტესობით დავუხვდებით, ხოლო ეს თამაშები წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დიდი მოსამზადებელი შეკრების წინ.

აღნიშნული შეხვედრები ძირითადად სასელექციო პროცესს დაეთმობა, თუმცა, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ სათამაშო სტრუქტურასა და ტაქტიკურ მონახაზზეც. გვექნება აგრეთვე ანალიზის შესაძლებლობა და ვეცდებით მივაგნოთ იმ სტილს, რომელსაც მომავალ ფორუმზე გამოვიყენებთ“.




◉ დებიუტი

# მხოლოდ დადებითად

ცნობილი ფრანგული გამოცემა ფრანცებლეუ.ფრ-ი **ხვიჩა კვარაცხელიას** პსჟ-ში სადებიუტო მატჩის შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც გამოცემა ქართველის თამაშს აფასებს. მისი თქმით, კვარას ასეთი დებიუტი, მომდევნო მატჩის ყურების სურვილს გიჩენს.

**„კვარაცხელიას თამაშში საინტერესო დეტალები დავინახეთ, ის ცდილობდა გუნდურად თამაშს, დემბელესთან, რამოშთან და ნუნუ მენდეშთან შეთამაშებას. თუმცა მხოლოდ ეს არ არის, ის ცდილობდა მომენტებში თამაში თავის თავზე აეღო, წასულიყო დრიბლინგზე და კარში დარტყმასაც ცდილობდა. ცხადია, ეს ყოველივე მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მას არ ეშინოდა პარკ დე პრენსზე პირველი წუთების.**

**მან გოლის ეპიზოდში დიდი როლი ითამაშა, ცხადია მისი გადაცემა რთული ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა დავინახეთ, რომ მას პატარა სივრცეებში, როდესაც საფიქრად ნაკლები დრო გაქვს, შეუძლია სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ყველაფერი იდეალურად ნამდვილად არ ყოფილა, რაც ბუნებრივია და ასეც უნდა იყოს. მას გუნდთან შეუთამაშებლობა ეტყობოდა, მაგრამ დროსთან ერთად ესეც მოვა, არ დაგვავიწყდეს, რომ კვარა სულ რაღაც 10 დღეა, რაც პსჟ-ს ფეხბურთელია.**

**ქართველი ფეხბურთელის საყვარელი პოზიცია შეტევის მარცხენა ფლანგზეა, თუმცა რეიმსთან მატჩის ბოლო წუთებმა დაგვანახა, რომ სხვადასხვა პოზიციაზე თამაში შეუძლია. როდესაც ბარკოლა შემოვიდა, მან ათიანის პოზიციაზე გადაინაცვლა და შეტევის მთავარი ღერძი იყო. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ პსჟ მასთან ერთად არაპროგნოზირებადი იქნება. ფაქტია, რომ რეიმსთან მატჩმა გულშემატკივრებს და ჩვენ ყველას სურვილი გაგვიჩინა, რომ ლიგა 1-ის მომდევნო ტურის მატჩი მალე მოვიდეს.“** – წერს ფრანგული გამოცემა.




ხვიჩა კვარაცხელია „რეიმსთან“ მოედანზე 83-ე წუთამდე იყო და შემდეგ ადგილი მარკო ასენსიოს დაუთმო. კვარაცხელიამ კარისკენ ორჯერ დაარტყა, ორჯერაც საკვანძო პასი გააკეთა, ბურთს კი 69-ჯერ შეეხო. „პარი სენ-ჟერმენი“ მომდევნო მატჩს ჩემპიონთა ლიგაზე სტუმრად „შტუტგარტთან“ დღეს გამართავს, სადაც კვარაცხელიას თამაშის უფლება ჯერ არ აქვს, ხოლო ლიგა 1-ის მომდევნო ტურში პირველ თებერვალს, სტუმრად „ბრესტს“ შეხვდება. პსჟ ლიგა 1-ში 19 ტურის შემდეგ დაუმარცხებელია და 47 ქულით ლიდერია.

„ნაპოლის“ და „იუვენტუსის“ ფეხბურთელმა მასიმო მაურომ ამასობაში განაცხადა, რომ ანტონიო კონტე კმაყოფილია ხვიჩა კვარაცხელიას წასვლით, რადგან ახლა დავიდ ნერეშს მუდმივი სათამაშო დრო აქვს, რომელიც თავის მხრივ ძალიან მოტივირებულია და მოედანზე ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს:

**„მჯერა, რომ კონტე კმაყოფილია კვარაცხელიას წასვლით, თუნდაც ეს არასოდეს აღიაროს. კმაყოფილია, რადგან ნერეშს სურს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა და ამიტომ მოედანზე ყოველთვის 100%-ით იხარჯება, რაც კონტეს ფილოსოფიას ერგება. კონტე კარგად იცნობს იტალიის ჩემპიონატს, ანტონიომ იცის, რომ ლაპარაკი მშვენიერია, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭიროა დაჯდე და გააცნობიერო, როგორ შექმნა გუნდი დიდი მიზნების დასაპყრობად“**, – თქვა მაურომ.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ სერია **A**-ს 22 ტურის შემდეგ 53 ქულით ლიდერობს და 3 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ინტერს“, რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

◉ ოქტაგონზე

# ახალი მეტოქის ვინაობა ცნობილია



**UFC**-ის ქართველი მებრძოლი **ალექსანდრე თოფურია** თავის სადებიუტო ორთაბრძოლას 9 თებერვალს გამართავს. როგორც ცნობილი ხდება მისი ახალი მეტოქე დაუმარცხებელი ავსტრალიელი კოლბი თიქნესი იქნება.

ინფორმაციას **MMA**-ს ცნობილი ბლოგერები ავრცელებენ და აღნიშნულ ორთაბრძოლას **UFC**-ი ოფიციალურად მალე დაადასტურებს.

შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე თოფურია კოდი ჰადონს უნდა შეხვედროდა, თუმცა ეს უკანასკნელი ბრძოლას ტრავმის გამო ჩაეხსნა. გეტყვით, რომ კოლბი თიქნესი ალექსანდრე ვოლკანოვსკის თანაგუნდელია და დაუმარცხებელია, მას 7 ბრძოლა აქვს გამართული და ყველა მათგანში გამარჯვების მოპოვება მოახერხა.

◉ ლეგიონერი

# ბითაძე 10 ქულით დაბრუნდა

**ტრავმით გამოწვეული 6-მატჩიანი პაუზის შემდეგ გოგა ბითაძე დაბრუნდა. ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგ ტურში „ორლანდო მეჯიქი“, სადაც ქართველი კალათბურთელი თამაშობს, „მაიამი ჰიტს“ შეხვდა და 6-ქულიანი სხვაობით 119:125 დამარცხდა.**

შეხვედრა დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულის ვინაობა ჰVრღთIრ-ში გამოვლინდა. მატჩის ძირითადი დრო 108:108 დასრულდა. დამატებით 5-წუთეულში კი „ჰიტის“ კალათბურთელებმა 17:11 გაიმარჯვეს.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა დაბრუნების შემდეგ პირველივე შეხვედრაში სოლიდური დრო მიიღო. ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. მან პარკეტზე 22 წუთი გაატარა, რა დროშიც 10 ქულა, 9 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარება ჰქონდა. გოგას ორმაგ დუბლამდე მხოლოდ 1 მოხსნა დააკლდა. 25 წლის კალათბურთელმა 4-დან 4 სროლა გამოიყენა, რომელიც ორქულიანები იყო, ასევე 4-დან 2 საჯარიმოც ჩააგდო.



წერილი რედაქციას

# როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!

**კომუნალურ გადასახადებში სრული წესრიგი რომ არ გახლავთ, ბევრი დაგვეთანხმება. გვახსოვს, აცხადებდნენ – დენი, წყალი და ნაგავი დროებით არიან „გაერთიანებლი“, თუმცა გაჩნდა „თელმიკო“, გაჩნდა „ყაზტრანსგაზის“ მაგივრად „ჯორჯიან-ენერჯი“, წყლის კომპანიაც ესპანელებმა გადაიბირეს (შეიძლება!), ტარიფები შეიცვალა ზრდისაკენ, მომსახურება კი, სამწუხაროდ, გაუარესდა, რადგან ხშირად მომხმარებლის უნებურად იცვლება მოსახლეობის სულთა რაოდენობა.**

ქვითრების არქონაც მოიმიზეზეს, გაჩნდა ონლაინ ქვითარი! დაბნეულია როგორც კომპანია, ასევე გადამხდელიც.

ამ სფეროში „ძაღლი პატრონს ვერ ცნობს“. აშკარად მდგომარეობა მოსაწესრიგებელია! გთხოვთ, გაახმოვანოთ თქვენი გაზეთით... იზრდება ტარიფები, ფირმები იცვლება, ხოლო მოსახლეობის მომსახურება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

საკმარისია, პრეტენზია განუცხადო, უფრო ართულებენ საქმეს, ცნობების კორიანტელს ითხოვენ, რაც გაიძულებს, თავი დაანებო, რადგან ყველა პენსიონერი არ ფლობს თანამედროვე კომპიუტერულ ტექნიკას.

ერთი რამ აშკარაა, „თელასმა“ „თელმიკო“ იბარტყა, წყალმა – ესპანელები, გაზმა – ახალი მეპატრონე, ნაგავი კი, ვერ გაიგებ როგორც უნდათ ისე მოგაწერენ სულთა რაოდენობას.

მომხმარებელი კვლავ უპატრონოა, რადგან ვერ გაუგია, ხან დენს დააკლდა, ხან წყალს და ხან ნაგავშია წასული გადასახადები. ნუთუ ამის მოწესრიგება ასე რთულია? კეთილი ინებონ და გაგვაგებინონ! ნორმალური ანგარიშსწორების ფორმა ქვითარია, რომელიც მრავალ ქვეყანაში დღესაც მუშაობს. ამით მათაც აკონტროლებ!

არ შეიძლება ამდენი მანიპულირება, ელემენტარული საკითხი უნდა მოგვარდეს!

პენსიონერები:

**ოთარ დავითაია,**
**გვიდონ უშხვანი,**
**შალვა კერესელიძე.**

# არ დალიოთ, მავნებელია!

## Coca-Cola-მ ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან პროდუქცია უკან გაიწვია




**კომპანია Coca-Cola-მ ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან პროდუქცია უკან გაიწვია, რადგანაც მასში ქლორატის მაღალი შემცველობა დადასტურდა, – ამის შესახებ BBC იუწყება.**

კომპანიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათ პროდუქცია ბელგიიდან, ლუქსემბურგიდან და ნიდერლანდებიდან გაიწვიეს.

Coca-Cola-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მომხმარებლისთვის ზიანის ალბათობა მინიმალურია, მაგრამ, ამის მიუხედავად, გაზიანი სასმელების კომპანიამ აღნიშნული პარტიის უკან გაწვევა გადაწყვიტა.

ასევე კომპანიაში აცხადებენ, რომ მომხმარებლებისგან ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით საჩივრები არ შესულა.

„აუცილებელია დავფიქრდეთ, გვსურს თუ არა საკვებად გამოვიყენოთ ისეთი უალკოჰოლო სასმელები, რომლებიც შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც ფეიერვერკებში და სადეზინფექციო საშუალებებში გამოიყენება“, – განაცხადა დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის დიეტოლოგმა კერონ გრეზეტმა.

Coca-Cola-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება კომპანიის პრიორიტეტია.

# ნიკოტინი ბრძოლვნად ღირს?!

**სურსათისა და წამლების ადმინისტრაცია (FDA) სიგარეტში ნიკოტინის მნიშვნელოვნად შემცირებაზე ფიქრობს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, სიგარეტზე დამოკიდებულებაც შემცირდეს.**



**ნიკოტინის დონის შემცირებით ადამიანების სიგარეტზე დამოკიდებულება შემცირდება, – თქვა FDA-ის წარმომადგენელმა ბრაინ კინგმა NBC News-თან ინტერვიუში.**

დღეს სიგარეტი დაახლოებით 11.9-დან 14.5 მილიგრამამდე ნიკოტინს შეიცავს. FDA-ის გეგმის მიხედვით სიგარეტში ნიკოტინის რაოდენობა 0.7 მილიგრამამდე უნდა შემცირდეს.

სიგარეტში არის ბევრი სხვა ნივთიერებაც, რაც საბოლოოდ ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება. თუმცა, უშუალოდ ნიკოტინია ის, რაც დამოკიდებულებას აჩენს, – თქვა ბრაინ კინგმა.

FDA-ში მიაჩნიათ, რომ დამოკიდებულების შეზღუდვით მილიონობით სიცოცხლეს გადაარჩენენ. ამას 2060 წლისთვის 1.8 მილიონი ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილება შეუძლია.

სანთელი

# ბენო გუგეშაშვილი



**შობის მარხვის დღეებში მთის რაჭამ ალალი ცრემლით დაიტირა თავისი საამაყო შვილი, ონის რაიონის საგზაო სამმართველოს ყოფილი უფროსი ბენო ფილიმონის ძე გუგეშაშვილი.**

თითქოს კანონზომიერი იყო, ასეთი პროფესია რომ აირჩია, რადგან მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში წარმატებით იკვალავდა გზას თვისტომთა გულებისაკენ – იქნებოდნენ ისინი საფიცარი მონაგარი, ნათესავები, მეგობრები, ნათელ-მირონები, კოლეგები თუ, უბრალოდ, ნაცნობნი. აღარაფერს ვამბობთ მის მიერ დატოვებულ ფესვმაგარ მთამომავლობაზე.

ხომ არ გგონიათ, ურთიერთობაში რაიმე ფორმით გამოეხატა ასაკობრივი ან თანამდებობრივი უპირატესობა – პირიქით, ეს ახოვანი აღნაგობით გამორჩეული ჭეშმარიტი ვაჟკაცი თანაბრად გაგრძნობინებდა როგორც საკუთარ, ისე შენს ოჯახიშვილობასა თუ ღირსეულობას.

ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რომ, შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, ამიერიდან ჩვენი შეუხორცებელი იარა, მაინც ასე უდროოდ მიეახლებოდა უფლის სამსჯავროზე ძვირფას წინაპრებსა და აფხაზეთის ომში სამშობლოსათვის გმირულად დაღუპულ, მარად ჭაბუკად დარჩენილ დისშვილს კახა ხიდეშელს.

ნათელი და სანთელი, ხეობის ფუძძლიერო ბურჯო!

**გია პლატონიშვილი**

# ძილის ავადმყოფობა

## იდუმალებით მოცული ეპიდემიის ისტორია



**1917-1927 წლებში გავრცელდა „ძილის ავადმყოფობის“ ეპიდემია, რომელმაც ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი დააზარალა. ეს ეპიდემია მეცნიერებისთვის ნამდვილ საიდუმლოდ იქცა, რადგან ამ დაავადების განკურნების გზა ჯერ კიდევ არ არსებობს.**

მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი სავსე იყო ომითა და ეპიდემიებით. ამ ფონზე, კაცობრიობას ჩუმად, თითქმის შეუმჩნევლად, სხვა დაავადება – „ძილის ავადმყოფობა“ ან, მეცნიერულად, ლეთარგიული ენცეფალიტი შემოეპარა. ახალი დაავადება პირველად 1917 წელს აღწერა ვენელმა პროფესორმა, ეკონომმა. მისი ჩანაწერების თანახმად, ეპიდემია 1915 წელს დაიწყო ვერდენის მახლობლად, შემდეგ გადავიდა ავსტრიაში, იქიდან კი, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში.

დაავადება გაგრძელდა 1927 წლამდე, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ის გაქრა არა ექიმების ძალისხმევით, არამედ თავისთავად – ისეთივე იდუმალებით და მოულოდნელად, როგორც გამოჩნდა.

როგორც დაავადების სახელწოდება გვეუბნება, მთავარი სიმპტომი იყო პაციენტის მომატებული ძილიანობა: ადამიანებს 2-3 კვირის განმავლობაში ძილი შეეძლოთ. ისინი იძინებდნენ ჭამის დროს, ან, საერთოდაც, მოგზაურობის დროს. თანაც, ეს არ იყო ერთადერთი პრობლემა, რომელიც მათ აწუხებდათ. ადამიანებს ჰქონდათ საშინელი ჰალუცინაციები, კუნთების დამბლა, ღებინება და ტკივილი სხეულის სხვადასხვა ნაწილში. მწვავე სტადიას ახასიათებდა მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი და სახის გამომეტყველების დარღვევაც.

მძიმე შემთხვევებში აღინიშნებოდა გულ-სისხლძარღვთა დარღვევები, სუნთქვის სიხშირისა და რიტმის დარღვევა, სასუნთქი კუნთების უნებლიე შეკუმშვა და კომა. დაავადების მწვავე სტადია შეიძლება დასრულებულიყო სრული გამოჯანმრთელებით, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ის ქრონიკულ სტადიაში გადაიზრდებოდა.

სიკვდილიანობის მაჩვენებელი მწვავე ფაზაში მერყეობდა 20%-დან 40%-მდე. ადამიანები, ძირითადად, სუნთქვის უკმარისობის გამო იღუპებოდნენ, მაგრამ სიკვდილის მთავარი მიზეზი მაინც „ძილის დაავადება“ გახლდათ.

მრავალი კვლევის ჩატარების შემდეგ მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ლეთარგიული ენცეფალიტის ინფექციის წყარო ადამიანია. ინფიცირება ფიზიკური კონტაქტის ან აირწვეთოვანი გზით გადადიოდა. ამ დაავადების შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. ვინ გაავრცელა დაავადება და როგორ უნდა ვუმკურნალოთ, ჯერჯერობით უცნობია.



ითვლება, რომ ადოლფ ჰიტლერიც „ძილის ავადმყოფობის“ მსხვერპლი გახდა. 1934 წელს მას დაუსვეს პარკინსონიზმის დიაგნოზი, ლეთარგიული ენცეფალიტის ქრონიკული სტადიის ერთ-ერთი სიმპტომი.

ახალ ისტორიაში აღირიცხება დაავადების ცალკეული შემთხვევები. 1987 წელს ლეთარგიულმა ენცეფალიტმა დააზარალა ოთხი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 2013 წლიდან ყაზახეთის სოფლებში, კალაჩისა და კრასნოგორსკში დიაგნოზირებულია „გაურკვეველი წარმოშობის ენცეფალოპათია“ – ადამიანებს ზედიზედ 6-7 დღე ეძინათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის გადასახლება გადაწყვიტა. ფაქტია, რომ 1960-1990-იან წლებში დასახლებების ტერიტორიაზე ურანის მადანი მოიპოვებოდა. ექსპერტებმა ახალი „ძილის ავადმყოფობის“ მიზეზად ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ჟანგბადის დაბალი და ნახშირორჟანგის გაზრდილი შემცველობის ჰაერის შესუნთქვა დაასახელეს. 2016 წლის შემდეგ დაავადების ახალი შემთხვევა არ გამოვლენილა.






# ილია მეორე:

## გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს ალბანეთის ეკლესიის მეთაურის, უნეტარესი ანასტასიოსის, გარდაცვალების გამო

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს ალბანეთის ეკლესიის მეთაურის, უნეტარესი ანასტასიოსის, გარდაცვალების გამო, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სამძიმრის წერილშია ნათქვამი.**

წერილს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„ვუსამძიმრებთ ალბანეთის ეკლესიის მთელ სისავსეს და აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დაანწესოს, ამინ!“!

# ქართული ღვინო ტოკიოში, მადრიდსა და პარიზში იქნება წარმოდგენილი




**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2025 წელს ქართული ღვინის პირველი წარდგენა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, ქართული ღვინის სპეციალურ პრეზენტაციაზე გაიმართება.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, იაპონიაში გამართული ღონისძიების შემდეგ, ქართული ღვინო ესპანეთში იქნება წარმოდგენილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გასტრო კონგრესში **Madrid Fusión** 2025 მიიღებენ მონაწილეობას, სადაც ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარიც გაიმართება. **Madrid Fusión** 2025 ქართული სტენდი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყობა, სადაც ქართული ღვინო ქართულ გასტრონომიასთან ერთად იქნება წარმოდგენილი.

2025 წლის თებერვლის დასაწყისში ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში **RAW Wine** და ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში **VineExpo Paris**.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, 2025 წელს ქართული ღვინო აქტიურად იქნება წარმოდგენილი შემდეგ სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია; ქართველი მწარმოებლები მონაწილეობას მიიღებენ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაში.

2025 წელს ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე გაზრდილი ბიუჯეტით გაგრძელდება, რომელიც 17,4 მილიონ ლარს შეადგენს და 1,4 მლნ ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ ბიუჯეტს.

**აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან მიღებულია რეკორდული 565 მლნ აშშ დოლარის შემოსავლები, რაც 24%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს.**

# საქართველოს დელეგაცია პოლონეთში

**პოლონეთში, აუშვიც-ბირკენაუს სახელმწიფო მუზეუმში გამართულ ღონისძიებაში, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მოგონებისა და მათი ხსოვნის პატივსაცემად, საქართველოს დელეგაცია სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველ პირებთან ერთად მონაწილეობდა.**

საქართველოს დელეგაციას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე ხელმძღვანელობდა. როგორც დელეგატები ღონისძიებას პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიანა ჟღენტი, საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კურტანიძე და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი შორენა ციცაგი ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს და დამსწრე საზოგადოებას მიმართეს საკონცენტრაციო ბანაკებში გადარჩენილმა ადამიანებმა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო აუშვიც-ბირკენაუს სახელმწიფო მუზეუმი.

# დემნა გვასალია „ხელოვნების რაინდი“ გახდა

**საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ქართველ დიზაინერს დემნა გვასალიას ხელოვნების რაინდის წოდება მიენიჭა. ეს ჯილდო მან მოდასა და კულტურაში განვითარებული განსაკუთრებული წვლილისთვის მიიღო.**

საპატიო მედალი და ხელოვნების რაინდის წოდება **BALENCIAGA**-ს კრეატიულ დირექტორს საფრანგეთის კულტურის მინისტრმა პარიზში პირადად საზეიმო ვითარებაში გადასცა.



დემნა უკვე 10 წელია **BALENCIAGA**-ს ხელმძღვანელობს.

ეს არის პირველი შემთხვევა ქართული მოდის ისტორიაში, როდესაც დიზაინერი საქართველოდან ხელოვნების რაინდის წოდებითა და მედლით საფრანგეთმა დააჯილდოვა.

დემნა გვასალია მსოფლიო მოდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი დიზაინერია. მისი სამოსით თავს მსოფლიოს ვარსკვლავები იწონებენ.

# „ოქროს ხელები“

## რუსთავში მხატვარ ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა

**„რუსთავის მერიის ორგანიზებით, ოთარ ჩხარტიშვილის სახელობის ხელოვნების ახალ გალერეაში, მხატვარ ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიცია სახელწოდებით – „ოქროს ხელები“, 30-მდე ნამუშევარს აერთიანებს“ – ამის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მერია ავრცელებს.**

გამოფენის გახსნას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე დაესწრო. ლაცაბიძის თქმით, მოხარულია, რომ ასეთი მაღალი დონის მხატვრების მასპინძლობის შესაძლებლობა აქვს რუსთავს.



„ჯემალ კუხალაშვილის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა რუსთავში პირველად იმართება. მხატვრის ნამუშევრები საქართველოს ხელოვნებისა და ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმებში, კულტურის სამინისტროს ფონდში და ტრეტიაკოვის გალერეაში, გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, იტალიაში, უნგრეთში რუსეთში, ისრაელში კერძო კოლექციებშია დაცული.

რუსთავის ხელოვნების გალერეა, ჯემალ კუხალაშვილის პერსონალურ გამოფენას ერთი თვის მანძილზე უმასპინძლებს. კუხალაშვილი მესამე მხატვარია, რომლის ნამუშევრებიც რუსთავის ახალ გალერეაში გამოიფინა.

ოთარ ჩხარტიშვილის სახელობის ხელოვნების გალერეა 2024 წლის 23 ოქტომბერს, მისივე ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა. რუსთავში სამხატვრო გალერეის არსებობას ხელოვანები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ითხოვდნენ. მათი სურვილი გასულ წელს შესრულდა და ქალაქში თანამედროვე საგამოფენო სივრცე გაიხსნა, სადაც ნებისმიერ შემოქმედს აქვს საშუალება გამოფინოს ნამუშევრები, ხოლო რუსთაველებს შესაძლებლობა მიეცათ, გაეცნონ ხელოვნების ნიმუშებს.

# ევერესტზე 100-ჯერ მაღალი კუნძულები...

## მეცნიერებმა დედამიწის მანტიაში უზარმაზარი „კუნძულები“ აღმოაჩინეს

**დედამიწის მანტიის სიღრმეში აღმოაჩინეს კონტინენტის ზომის ორი რეგიონი. ისინი უძველესია, მინიმუმ ნახევარი მილიარდი წლისაა.**

უტრეხტის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახალ კვლევაში დაადგინეს, რომ დედამიწის მანტიაში გაცილებით ნაკლები ნაკადია, ვიდრე ადრე ეგონათ. ეს ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციულ თეორიებს, რომ ეს არის კარგად შერეული, სწრაფად მიმდინარე სისტემა.



მიწისქვეშა „კუნძულები“, რომლებიც მეცნიერებმა აღმოაჩინეს, 2000 კმ სიღრმეზეა და აღწევს დაახლოებით 1000 კმ სიმაღლეს, რაც კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ნებისმიერი მთის მწვერვალი დედამიწის ზედაპირზე. ისინი განლაგებულია აფრიკისა და წყნარი ოკეანის ქვეშ.

„არავინ იცის, რა არის ეს და არის თუ არა ისინი მხოლოდ დროებითი ფენომენი, თუ არსებობს მილიონობით ან შესაძლოა მილიარდობით წლის განმავლობაში“, – თქვა კვლევის უფროსმა ავტორმა.

აღნიშნულია, რომ „კუნძულების“ ირგვლივ დიდი რაოდენობითაა ჩაძირული ტექტონიკური ფილები, რომლებიც დედამიწის მანტიაში ჩაიძირა. მეცნიერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმდებარე რეგიონებისგან განსხვავებით, დიდ პროვინციებში დაბალი სეისმური სიჩქარით, სეისმური ტალღები მნიშვნელოვნად შენელდება მათი გაზრდილი ტემპერატურის გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 31 იანვარს**